პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. კ.
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაკრ.
ლუბ. სამ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. [illegible] ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონი, ნომრები: რედაქტორის 14—76, ნოქარის 10—83.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49. ხელის მოწერის ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. [illegible] 1 მან. 60 კ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე [illegible] 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible] 5 მან. [illegible]

№ 62 (917) კვირა, 16 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 62 (917).

დღიური

სერბიაში მოხდა შეტაკება მთავრობის ჯარებსა და მაკედონელებს შორის. მთავრობის ჯარებს [illegible] ეხმარებიან.

ტუნისში ესპანელების წინააღმდეგ აჯანყება ხდება.

მარტში შრომის ხელფასისათვის გამოშვებული იქნება 5 მილიონის ჩერვონული ფული.

საფრანგეთში დაიწყო კომუნისტური გაზეთ „ლ'იუმანიტე"-ს საქმის გარჩევა.

საბჭოთა კავშირის [illegible] საზოგადოება მონაწილეობას მიიღებს [illegible] პრაღაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია შემდეგი სექციების ორგანიზაციული სხდომა:

1. ზამეჩკომის სათათბირო დარბაზში.
2. ჯანმრთელობის საერთო განყოფილებაში ოთახი № 5.
3. საადგილ-მამულო ოთახი № 31.

ზემოაღნიშნულ სექციებში ჩაწერილ ამხანაგებს პრეზიდიუმი სთხოვს გამოცხადდნენ ყოველივე მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე.

959—2—2 პრეზიდიუმი.

გლეხთა კონფერენციები

გლეხთა უფრო მეტი დაახლოვება საბჭოთა ხელისუფლებასთან, მუშათა კლასთან, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი მეურნეობის აღორძინება, მისი პოლიტიკური შეგნების და კულტურული დონის ამაღლება, მისი უფრო აქტიურად ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში,—ყველა ეს საკითხები ყოველთვის იდგნენ და განსაკუთრებით დღეს დგანან მთელი თავისი სიფართოვით ჩვენი პარტიისა და მუშურ-გლეხურ მთავრობის წინაშე.

მრავალ ღონისძიებებთან ერთად, რომელნიც მიღებულ იქნენ და გატარდებიან ამ საკითხების გადასაწყვეტად, მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ამ მხრივ განზრახული გლეხთა კონფერენციები, რომელთა შესახებ ჩვენი პარტიის ცეკას ცირკულიარული წერილი მოთავსებული გვქონდა გაზეთის გუშინდელ №-ში.

უპარტიო გლეხთა ფართო კონფერენციები უნდა ჩატარდეს ახლო მომავალში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ყველა სოფელში, თემში, რაიონში.

ამ კონფერენციების მიზანს შეადგენს გლეხობის პოლიტიკური გათვითცნობიერება, მისი ეკონომიურ და კულტურულ მოთხოვნილებებთან უფრო კონკრეტულად და ახლოს გაცნობა და გლეხობის ჩაბმა მისთვის საჭირ-ბოროტო ადგილობრივ საკითხების გაშუქება-გადაწყვეტაში.

რანაირია ჩვენი, ლენინის შეხედულება გლეხობაზე, როგორ იცავს საბჭოთა ხელისუფლება მის ინტერესებს, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ გლეხების მეურნეობის აღორძინებლად, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებლად, როგორია საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა, რას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკების კავშირი, როგორაა გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი ჩვენში და საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და მრავალი სხვა საკითხები ცხოვლად აინტერესებენ გლეხობას.

გლეხობა მრავალ ამ საკითხს ეცნობოდა პრაქტიკულად, ან ჩვენ მიერ წარმოებულ სხვადასხვა კამპანიების საშუალებით და სხვა გზით.

მაგრამ, ეჭვი არ არის, ჯერ კიდევ ბევრი ცალმხრივ და ბუნდოვან წარმოდგენას აქვს ადგილი გლეხობაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

გლეხთა მომავალმა კონფერენციებმა, რომლებშიც ფართო და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თვით გლეხები, უნდა საგრძნობლად წასწიონ წინ სოფლის მშრომელი მასის პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმე, უფრო ნათლად დაუმტკიცონ გლეხობას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაა ნამდვილი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

კონფერენციებზე დაისმება ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხები ეკონომიური და კულტურული ხასიათის: თესვის კამპანია, აგრონომიული დახმარება, კოოპერაციის მდგომარეობა ადგილობრივად, აღმშენებლობა სოფლის ცხოვრების სხვა დარგებში; გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტები; კულტურის და განათლების საკითხები სოფლად (სკოლა, სამკითხველო, თეატრი და სხ.).

კონფერენციებმა უნდა დააყენონ ყველა ეს საკითხები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, ყოველმხრივ გააშუქონ და გამოიტანონ მათ შესახებ პრაქტიკული დადგენილებანი.

კონფერენციებისათვის მოსამზადებელ მუშაობაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მათზე იქნან არჩეულნი უმეტესათ გლეხობის ქვედა ფენები, ამასთან გლეხ-ქალები, რომელნიც კიდევ ვერ სარგებლობენ როგორც საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათთვის მინიჭებული პოლიტიკური უფლებებით და ნაკლებად არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. უნდა დავსძლიოთ მათი ისტორიული პირობებით გამოწვეული პასიურობა და კარჩაკეტილობა და გამოვაყვანოთ ისინი პოლიტიკურ ცხოვრების ფართო სარბიელზე.

თვით კონფერენციებზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს გლეხ და გლეხქალ დელეგატების ფართო და აქტიური მონაწილეობით. ამ კონფერენციებს არ უნდა ჰქონდეთ შაბლონურ კრებების ხასიათი, სადაც ხშირად მომხსენებლები გააკეთებენ ოფიციალურ მოხსენებას, დამსწრე ხალხი კი მხოლოდ წარმოდგენილ რეზოლიუციის მიღებით კმაყოფილდება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ კონფერენციების ჩასატარებლად, მასზე მოხსენებების გასაკეთებლად გაგზავნილ იქნან სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ დღის წესრიგში მდგარ საკითხებს მიუდგნენ საქმიანად, კონკრეტულად. ზოგადი ფრაზა, სიტყვიერება, ასე ჩვეული ბევრი ჩვენი აგიტატორისათვის, უნდა იქნას ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილი და განდევნილი.

კონფერენციების მუშაობაში უნდა ჩავაბათ, გარდა ჩვენი ამხანაგებისა, სოფლის ყველა კულტურული ძალები—მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, კოოპერატორები და სხვ., რომელნიც თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ გლეხთა წარმომადგენლებს.

გლეხთა კონფერენციებს, მათ წარმატებით ჩატარებას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ, გლეხობის გათვითცნობიერების, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, საბჭოთა ხელისუფლებასა და მუშათა კლასთან მისი უფრო მჭიდრო დაკავშირების საქმეში.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ თავიანთი ძალების მობილიზაცია ამ კონფერენციების რიგიანი მოწყობისა და მათი ნაყოფიერი ჩატარებისათვის.

ხმა პარიზიდან

თანახმად დაპირებისა (იხ. „კომუნისტი" № 58), ჩვენ ვაქვეყნებთ დღეს ერთი ამხანაგის მიერ პარიზიდან მიღებულ წერილს, სადაც აწერილია მოკლედ რამოდენიმე მომენტი ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ცხოვრებიდან საფრანგეთის დედა ქალაქში.

როგორც ვწერდით მაშინ და გვაცნობებს ამ წერილის ავტორიც, პარიზშია დღეს მოგროვილი ოთხასამდე ქართველი. რამოდენიმე ჯგუფების გამოკლებით, რომლებიც სცხოვრობენ თავიანთი კერძო ცხოვრებით, ყველაზე უფრო აქტიური ნაწილი ეკუთვნის საქართველოდან თებერვლის (1921 წლის) დღეებში და შემდეგ გაქცეულ კონტრ-რევოლიუციონურ ინტელიგენციას და მათ შორის აქ ყველაზე უფრო გავლენიან ჯგუფს მენშევიკებისას, ყოფ. მთავრობის ირგვლივ რომ იყრიან თავს. ერთ დროს ერთიანი, ეს ემიგრაცია, „დროისა და გარემოების" ზეგავლენით დღეს აღარ წარმოადგენს მჭიდროდ შეკავშირებულ ძალას. დაშლისა და გახრწნის პროცესმა მიაღწია ქართველი კონტრ-რევოლიუციონერების ბუდეშიც უცხოეთში და აწარმოებენ იქ დაქსაქსვისა და დაშლის მუშაობას. თუ ყოფ. მენშევიკური მთავრობის „მეორეთ მოსვლის" ილუზიებისაგან განთავისუფლდნენ აქ, საქართველოში, ყოფ. მენშევიკური პარტიის წევრები, დაჰკარგეს ძველი ავანტიურისტული გზა და გადმოვიდნენ არსებული ხელისუფლების პლატფორმაზე, ამ ილუზიებისაგან კიდევ არ იყვნენ დღემდე თავისუფალი გაქცეული ემიგრანტები და არც დღეს კარგავენ ზოგიერთნი მათგან იმედებს. მაგრამ რაც შეეხება „მასიურ" შემადგენლობას (რამდენადაც შეიძლება ოთხასი კაცისაგან გამოვყოთ ეს „მასა") ამ ემიგრაციისას, იქ უკვე არის გარკვეული ნიშნები დაშლის და დღეს გამოქვეყნებული წერილი მჭერმეტყველურათ ამოწმებს ამ ფაქტს.

„ძირს ჟორდანია", „ცუგანი", „СВОЛОЧЬ", „ქურდები" „მოშენიკები", „მდაბლები", (უკანასკნელი სამი სიტყვა ეკუთვნის გენერალ კვინიტაძეს)—აი ის „მარგალიტები", რომლებითაც უმასპინძლდებიან დღეს მენშევიკების ბელადებს ქართველი ემიგრანტები, რომლებიც დღემდე მორჩილებით მისდევდნენ მათ.

ამნაირათ სამი გრძელი წლის ლოდინის შემდეგ ისედაც შეთხელებული ამალა ყოფ. მენშევიკური მთავრობისა პარიზში, დაერია ერთმანეთს და მათ ერთი ვაი-უშველებელი და კორიანტელი აქვთ.

გაუტანლობა, უნდობლობა, უშვერი ლანძღვა-გინება, მუშტი-კრივი, დუელი და ალიაქოთი—აი ატრიბუტები ფსკერზე ჩაძირულ ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ცხოვრებისა უცხოეთში. კარგი ხანია რაც უწინასწარმეტყველეთ ეს ჩვენ საზღვარგარეთ გაქცეულ მენშევიკებსაც და დღემდე მათ მიმდევარ სხვა „ეროვნულ" პარტიების ნამტვრევებს. და ყოველივე სინამდვილეთ იქცა.

ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგა უმრავლესობა იმ თათბირის, რომელზედაც ლაპარაკობს წერილის ავტორი. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირისა და მასთან ერთად საქართველოს იურიდიულად ცნობა—რაც ამ თათბირისა და წერილის დაწერის შემდეგ მოხდა—ახალ იმედებს ვერ აღუძრავდა საზღვარგარეთელებს და ცხადია ამიტომ, რომ დაწყებული დაშლა მათი რიგების კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა. ყოველ შემთხვევაში აშკარაა ის, რომ ეს პროცესი დაიწყო და ახლო მომავალში ჩვენ მივაღწევთ უკვე გარკვეულ შედეგებს. ეს შედეგი იქნება სრული განადგურება გაქცეულთა იმედების, მათი ორგანიზაციული დაშლა საბოლოოთ, საბოლოოთვე გახრწნა პარიზში მოკალათებული ქართული კონტრ რევოლიუციის შტაბისა. იმის შემდეგ რაც მოხდა აქ, საქართველოში, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდევ ერთი გამარჯვება ამ ფრონტზე.

კოოპერაციის გარშემო *)

დისკუსიის დროს, რომელიც სწარმოებს ცეკავშირსა და წარმოკავშირს, შორის ხელახლა ისმება საკითხი საქართველოში ორ კოოპერატიულ ცენტრის არსებობის მიზანშეწონილობისა და მიზანშეუწონლობის შესახებ.

წარმოკავშირელები ერთიან ცენტრის არსებობის წინააღმდეგ აყენებენ ფორმალურ-თეორიულ ხასიათის მოსაზრებებს. ისინი ამბობენ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის, ამ შემთხვევაში, ცეკავშირის მუშაობაში სჭარბობს ვაჭრობის მომენტი (საჭირო საქონლის მიწოდება მუშებისა და გლეხებისათვის), და არა წარმოება-გასაღების მომენტი, ამიტომ, მათი აზრით, ცეკავშირს უნდა მიენიჭოს ფაბრიკატების განაწილების როლი, წარმოკავშირს კი უნდა დარჩეს მონოპოლია საგლეხო მეურნეობაზე და წარმოება და საქონლის გასაღება უნდა შეადგენდეს მის ფუნქციებს. ჩვენ არ ვეთანხმებით არსებითად წარმოკავშირელების მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს და საჭიროთ მიგვაჩნია ამ მოკლე წერილში აღვნიშნოთ სადისკუსიო საკითხის ერთი მხარე.

წარმოკავშირის წარმომადგენლები სცდილობენ დაჩრდილონ საკითხი და საკითხის სწორათ დაყენების მაგივრათ ისინი არსებითად საქმის ვითარებას გვიხატავენ ისე, როგორც სინამდვილეში არ არის: 1) წარმოკავშირელები საკითხს გვიხატავენ ისე, თითქოს აქ კამათი სწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაციასა (ცეკავშირი) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას (წარმოკავშირი) შორის, 2) თითქოს სამომხმარებლო კოოპერაცია (ცეკავშირი) წინადადებას იძლევა გაუქმებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და ის შეუერთდეს სამომხმარებლო კოოპერაციას, აქედან კი წარმოსდგება მომხმარებლების და მწარმოებლების ინტერესების წინააღმდეგობის ყოველგვარი „საშინელებანი" ნამდვილათ კი ეს საკითხი არ არის დასმული და არც არავის უფიქრია მისი დასმა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აქ კამათი სწარმოებს არა სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს შორის, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შორის, ე. ი. საკითხი იჩრდილება იმით, რომ ცეკავშირი არ არის წმინდა სამომხმარებლო კოოპერაცია, არამედ ის უფრო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაა. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ცეკავშირი თავიდანვე სამომხმარებლო კოოპერაცია იყო, ეს სავსებით მართალია, მაგრამ თავის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით იმ დროიდან, როდესაც ცეკავშირი ხელიდან გამოვგლიჯეთ მენშევიკებს და მან საბჭოთა კოოპერაციის ფორმა მიიღო, თავის განვითარების პროცესში, ქართულმა ეკონომიურმა სინამდვილემ, საგლეხო მეურნეობამ, საიდაც მიაპყრო ცეკავშირმა თავისი ყურადღება, აიძულა ეს ცენტრი დამდგარიყო საგლეხო მეურნეობების პროდუქტების გასაღების ოპერაციების ნიადაგზე. არა გლეხისაგან შესყიდვა იაფ ფასებში და გაყიდვა, არამედ გასაღება და დაბრუნება გლეხისათვის მისი სრული შრომის შემოსავლისა. ამის წარმოება ცეკავშირისათვის ადვილი იყო მით უმეტეს, რომ მეორე მხრიდან, წმინდა სამომხმარებლო მუშათა კოოპერაციისაგან, ის იაფათ ყიდვის გავლენას არ განიცდიდა, რადგან საბოლოო ანგარიშში გლეხის პროდუქტების ძირითადი მასსა—ხიშინდი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, კაკალი, დათვის ფოთოლი და სხვა, არ არის ჩვენი ქალაქის მოსახლეობის მოხმარების საგანი, არამედ ის მიდის საზღვარგარეთ ან და რუსეთში. ამიტომ ცეკავშირის, რომელიც წინათ, უმთავრესათ, სამომხმარებლო კოოპერაცია იყო, გარდაქმნის გზა სრულიად თავისუფალი იყო მომხმარებელთა გავლენისაგან და ეს გარდაქმნა ბუნებრივი წესით მიმდინარეობდა; საგლეხო მეურნეობა და მისი წარმოება გასაღების საჭიროებები შეფარდებული იყო ცეკავშირის მოღვაწეობისათვის.

მე ვიმეორებ—ამას ხელს უწყობდა არა ცეკავშირის ხელმძღვანელების სურვილი, არამედ სრულიად ბუნებრივი ეკონომიური პროცესი. და ამ ჟამად სახელწოდება „ცეკავშირის"—სამომხმარებლო კოოპერაცია არ გამოხატავს მის ნამდვილ შინაარსს. სხვანაირათ არც შეიძლებოდა, რადგან ასეთია ქართული სინამდვილე, სადაც თვითეულმა კოოპერატიულმა ცენტრმა, თუ მას არ სურს, რომ მოწყდეს საქართველოს მეურნეობის ფორმებს და თვითლიკვიდაციის გზაზე დადგეს, უნდა აწარმოოს ისეთივე მუშაობა, როგორსაც ეწევა ცეკავშირი.

თუ ცეკავშირის ათმილიონიან ბრუნვის ნახევარზე მეტს შეადგენს გასაღების ბრუნვა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ასე ვილაპარაკოთ ცეკავშირის გარდაქმნის შესახებ; ამავე დროს წარმოკავშირის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, გასაღების ბრუნვა, წარმოკავშირის წარმომადგენლების სიტყვებით, უდრის ორ მილიონ მანეთს.

გლეხებისათვის აუცილებელ საქონლის მიწოდების საკითხმა უკვე მეორეხარისხოვანი ხასიათი მიიღო როგორც წარმოკავშირის, ისე ცეკავშირისათვის.

როდესაც კამათის დროს წარმოკავშირი წინადადებას აძლევს ცეკავშირს დაკმაყოფილდეს მხოლოდ საქონლის განაწილებით და თვითონ კი ჩაიბაროს საქონლის გასაღების ყველა ოპერაციები,—ასეთი განცხადება მოკლებულია ყოველგვარ გულწრფელობას. განა წარმოკავშირს, მაგალითად, არ შეუძლია მიაწოდოს გლეხებს მოხმარების საგნები, განა მას არ შესწევს ძალა ამისთვის? რა სჭირია ჩვენს გლეხს, მეტად მცირე ასსორტიმენტი—მანუფაქტურა, ნავთი, ასანთი, მარილი, საპონი, შაქარი—აი მთელი ასსორტიმენტი.

ცეკავშირიც და წარმოკავშირიც ერთდაიმავე დროს აწარმოებენ საქონლის გასაღების ოპერაციებს და ისინი აწოდებენ გლეხებს აღნიშნულ საგნებს. წარსულ პრაქტიკაშიც და ეხლაც ისინი (მგონი „მეურნეს"-ც, „ბირლიკა"-ც და სხვებიც) აწოდებდნენ და აწოდებენ გლეხებს აღნიშნულ საგნებს, და სხვანაირად არც შეიძლება.

საკითხის დასმა იმის შესახებ, რომ ცეკავშირმა აწარმოოს მხოლოდ საქონლის განაწილება, ეს ნიშნავს შეგნებულად შემდეგის წამოყენებას: 1) ჩამოერთვას ცეკავშირს მასი მეურნეობრივი ბაზა—საგლეხო მეურნეობა და განზრახ გაუქმდეს ბუნებრივათ აღმოცენებული საქონლის გასაღების ოპერაციები, 2) დარჩეს ცეკავშირს მანუფაქტურად ტფილისი, ბათომი, ფოთი, ქუთაისი, ჭიათურა, ე. ი. დარჩეს მუშათა კოოპერაცია, ე. ი. გამოყოფილი იქნეს მუშათა კოოპერაცია საერთო-სამოქალაქო კოოპერაციისაგან, რაც უარყოფილია პარტიული და საბჭოთა ყრილობების მიერ, ე. ი. დაშლილი იქნეს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები.

ამრიგათ, პირველ საკითხზე ჩვენ ვუპასუხებთ—კამათი სწარმოებს არა სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ერთ ცენტრსა (ცეკავშირი) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეორე ცენტრს შორის (წარმოკავშირი). მეორე მოსაზრება, რომ თითქოს ცეკავშირელები აყენებენ საკითხს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (წარმოკავშირი) ლიკვიდაციისა და მისი სამომხმარებლო კოოპერაციასათვის შეერთების შესახებ არ არის აგრეთვე სწორი და არ შეესაბამება ცეკავშირელების მიერ წამოყენებულ წინადადებებს.

ცეკავშირელები აცხადებენ, რომ რამდენადაც საქართველოში არის ორი სასოფლო-სამეურნეო ცენტრი, აუცილებელია მათი გაერთიანება და ორი ერთნაირი ცენტრის მაგივრათ შექმნილი იქნეს ერთი მთლიანი ცენტრი. საკითხი ხომ იმაში არ არის, რის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, სულ ერთია წარმოკავშირი იქნება გაუქმებული, თუ ცეკავშირი ან და არაფერი არ იქნება გაუქმებული, საჭიროა მხოლოდ მათი გაერთიანება და შექმნა ერთიანი ცენტრის, მუშათა და გლეხთა კოოპერატივების ერთიანი კავშირის, რომელიც შესძლებდა მოიცვას ყველა სადაო საკითხები, შეხამებს მათ ნაყოფიერათ ამუშავებს ქალაქის და სოფლის მოსახლეობის სასარგებლოთ. გაერთიანების სპეციალური სახეები, როგორიც: მატყლის, თამბაქო, ღვინო, აბრეშუმის პარკი შეიძლება შევიდეს ან და არ შევიდეს ამ ცენტრში და მათ შეუძლიათ ეძიონ თავისთვის მეტი სარგებლობა იქ, სადაც მისი მოპოვება შესაძლებელია.

ამიტომ, ვიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, ჩვენ ვაყენებთ შემდეგ წინადადებებს: 1) შექმნილი იქნეს საქართველოში ერთიანი კოოპერატიული ცენტრი—მუშათა და გლეხთა კოოპერატივების კავშირი 2) დასაშვებათ იქნეს ცნობილი სპეციალური ორგანიზაციების დაარსება მატყლის, ღვინის, თამბაქოს და სხვათა რეალიზაციისათვის და მიენიჭოს მათ უფლება თვითონ გადაწყვიტონ საკითხი ამ ცენტრში შესვლისა თუ არ შესვლის შესახებ.

ა. ცრიხაძე.

*) სადისკუსიო.

ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის გახრწნა საზღვარ-გარეთ

განხეთქილება მენშევიკებს შორის პარიზში. ● ქართველ კონტრ-რევოლიუციონერთა ერთიანი ფრონტის დაშლა. ● ხელჩართული ბრძოლა კრებებზე. „ძირს ჟორდანია!" ● გენ. კვინიტაძემ დუელში გამოიწვია ევგენი გეგეჭკორი.

რა ხდება ემიგრაციაში

(პარიზში მყოფ ერთი ამხანაგის წერილიდან*)

„...საქართველოს და ქართულ საქმეების შესახებ აქ არავინ არაფერი არ იცის. მენშევიკები, რასაკვირველია, ინფორმაციას რეგულიარულად იღებენ, მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერს არ ეუბნებიან, ყველაფერს უმალავენ არა მარტო უბრალო ქართველებს, არამედ იმათაც (ს. კედია, ახათიანი, კ. გვაზავა, გვაზავა, ვეშაპელი, ფირცხალავა და სხვები), ვინც მათთან მუშაობს და ესწრება ყველა ფარულ და ღია კრებებს. ამ ნიადაგზე სერიოზულ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი „ცენტრში". ამ შეტაკებებს და უთანხმოებას თავისი შედეგები უნდა მოჰყოლოდა: ან სხვა პარტიების წარმომადგენლები უნდა ჩამოშორებოდნენ მენშევიკებს, ან და მენშევიკების მთელი ტყუილი, სიყალბე უნდა გამოსულიყო მზის სინათლეზე, ემიგრაციის სამსჯავროს წინაშე, იმ ემიგრაციის, რომელმაც არაფერი არ იცოდა არც იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ყოფილი მთავრობა, არც იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. ამ დროისათვის მე მივიღე ცნობები საქართველოს მენშევიკების ყრილობის შესახებ და ის ქაღალდები, რომელიც შენ გამომიგზავნე.

რეზოლიუციების, დეკლარაციის წარადგის და სხვათა შესახებ.

შენი წერილი სტუდენტების **) რეზოლიუციის თანდართვით, და აგრეთვე ტფილისში მომხდარ მენშევიკების ყრილობის ოქმებით, მე სწორედ დროზე მივიღე. ეს ოქმები გადაცემული იქნა „ცენტრის" ერთ-ერთ წევრისათვის და მან ს. კედიას საშუალებით სხდომაზე დასვა კითხვა: „იციან თუ არა მენშევიკებმა რაიმე მათი პარტიის ლიკვიდაციის შესახებ და იმის შესახებ, რომ ყველა მენშევიკებმა მიატოვეს ბრძოლის ველი." აქ დიდი ამბავი დატრიალდა, უპასუხებდა რამიშვილი. ის ამბობდა, რომ ეს არაფერია, რომ არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა და სირცხვილია ასეთი ხმების მოკრეფა ქუჩაში და მათი სხდომაზე გამოტანა. მაშინ წაკითხული იქნა ოქმები, სეითის წერილი, პასუხი ამ წერილზე და სხვა. შემდეგ სტუდენტების დეკლარაცია და სხვა. ამან მოახდინა არაჩვეულებრივი ეფექტი. მენშევიკები ცუდად გრძნობდნენ თავს და რომ როგორმე ეხსნათ მდგომარეობა, რამიშვილმა „დააწყო" სტუდენტების დეკლარაციას. მან განაცხადა, რომ ტფილისში მომხდარი ამბავი მათ მით უფრო არა სწამთ, რომ ბერლინელ სტუდენტთა ისტორია პირდაპირ სასაცილო აღმოჩნდა. *)

იმის შესახებ, თუ რა მოხდა შემდეგ და როგორ გათავდა.

ამ დროისათვის მე მივიღე ახალი გაზეთები. ამ ახალი ინფორმაციით და აგრეთვე ძველით ისარგებლა ა. ახათიანმა და მოხსენება გააკეთა ქართული კოლონიის საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 200 კაცი. ილაპარაკა ოთხი საათი, ამასთანავე ატმოსფერა მეტის-მეტათ დამძიმდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ მენშევიკებს (მთავრობა) მოღალატეები უწოდეს. ვიღაცამ დაიყვირა „ძირს ჟორდანია". ასეთი შეძახილი მე პირველათ გავიგონე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში. უეცრათ გამოჩნდა სამარისებური სიჩუმე, მაგრამ ის დაარღვია რამიშვილმა, რომელმაც პირზე დორბლ-მორეულმა იყვირა: „გამაგდეთ აქედან ის". წამოხტნენ: ჯუღელი, ცინცაძე და სხვა დამქაშები. წამოხტა ჯოხებით მეორე მხარეც. ნოე რამიშვილს დაუძახეს „არამზადა", (СВОЛОЧЬ) „მინისტრი კი არ ხარ, ცუგანი ხარო". და მენშევიკები იმ წამსვე ჩაჩუმდნენ. კამათი გადადებული იქნა შემდეგი კვირისათვის. იქ გამოვიდნენ კედია, გვაზავა, ნიკოლაძე, ჩხენკელი, ახათიანი, გეგეჭკორი, არსენიძე და სხვები. ეს კრებაც აგრეთვე ანტიმენშევიკურათ გათავდა და ყველა ამის დასასრულ კი გეგეჭკორი და გენ. კვინიტაძე წაიჩხუბნენ. კვინიტაძემ მას და მის ამხანაგებს უწოდა „ქურდები, მაშენიკები და მშიშარები". ერთმანეთზე მიიწიეს მუშტებით, მაგრამ ისინი გააშველეს...

დუელი

გენერალმა კვინიტაძემ გეგეჭკორი დუელში გამოიწვია. უკანასკნელმა უარი სთქვა ოფიციალურ დუელზე და მის მაგივრათ წამოაყენა ამერიკული დუელი. მაგრამ შემდეგ როგორღაც დააშოშმინეს ისინი და ეხლა ორივე ცოცხლებია.

კიდევ მათი წარმალი

მოხსენებისათვის ემზადება ხპ. კედია, რომელმაც აღნიშნულ კრებაზე ვერ მოასწრო თავისი აზრის ბოლომდი განვითარება და განაცხადა, რომ წაიკითხავს სპეციალურ მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორ ეწევიან მენშევიკები სისტემატიურათ შანტაჟს ქართველი ხალხის მიმართ.

ეხლა კი როგორაა საქმე.

ეხლა განწყობილება პარიზში ბუნდოვანია. აქ არის ემიგრაციის ცენტრი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მთავარი შტაბი, ეს შტაბი იქ დიდ გავლენას ახდენს ყველა ქართველებზე. მათი რიცხვი ეხლა პარიზში 400 კაცს აღემატება. ახლო მომავალში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ ცნობის საკითხი არც ისე მარტივად სდგას... ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ემიგრაციის სულიერ განწყობილებისათვის, განსაკუთრებით კი ქართველი ემიგრაციის. რუსეთს არც თუ ისე ჩქარა იცნობენ.*)

ცნობის, პუანკარეს და მილერანის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს დღეისდღეში.

აქ დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის და საბჭოთა მთავრობის შორის ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას და ვითომ პუანკარემ კატეგორიულად განაცხადა: საფრანგეთი იცნობს საბჭოთა მთავრობას არჩევნებიდან 2—3 თვის გასვლის შემდეგ. **)

მენშევიკებმა, რასაკვირველია, გაიგეს ამის შესახებ და გადასწყვიტეს თავისი აზრი შეემუშავებინათ ამ საკითხის შესახებ, სანამ გვიან არ არის. დაიწყო კონფერენცია ლევილლეში (მენშევიკების მამულში): „ვიცნოთ, თუ არ ვიცნოთ." ნაწილი მენშევიკებისა, როგორც მე ამის შესახებ საიდუმლოთ გადმომცა ერთერთმა კონფერენციაზე დამსწრე, მოითხოვს „ცნობას." ამ თვალსაზრისს ადგია ჩემი მოსაუბრეც (სახელი ნაჩვენებია. რედ). მეორე ნაწილი წინააღმდეგია: მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას, „თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა უაზროა." მე არ ვიცი, რითი გათავდა ეს დისკუსია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც მეტათ დამახასიათებელია".

*) წერილი მიღებულია ერთი ჩვენი ამხანაგის მიერ ტფილისში. რედ.

**) ლაპარაკია გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტების შესახებ, რომლებმაც დაარსეს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომი კავშირი. რედ.

*) რასაკვირველია, ისეთივე „სასაცილო" როგორც ქართული მენშევიზმის დაშლის ისტორია. რ ე დ.

*) წერილი დაწერილია ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამდი. რ ე დ.

**) ლაპარაკია საფრანგეთის პარლამენტში არჩევნების შესახებ, რომელიც განზრახულია მაისში. რ ე დ.

რუსეთის სამრეწველო ბანკის თავმჯდომარის კრასნოშჩეკოვის საქმე

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

უმაღლეს სასამართლოში 4 მარტს დაიწყო რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ყოფილ თავმჯდომარის ა. კრასნოშჩეკოვის საქმის გარჩევა.

ა. კრასნოშჩეკოვი 1897 წლიდან 1917 წლამდე ყოფილა მენშევიკების პარტიის წევრი. ხანგრძლივი დროით ის მუშაობდა ამერიკაში და ცნობილი იყო ამერიკულ სოციალისტურ წრეებში. 17 წლიდან ის შედის რუსების კომუნ. პარტიაში. იყო 22 წლამდე შორეულ აღმოსავლეთის სახალხო კომისართა საბჭოს და შემდეგში მინისტრების საბჭოს თავმჯდომარეთ. 22 წლიდან გადმოვიდა მოსკოვში და დაიჭირა ფინანსთა კომისარიატის კოლეგიის წევრის თანამდებობა, შემდეგში უმაღლესი სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმში შევიდა წევრად. 22 წლის დამლევს დაინიშნა სამრეწველო ბანკის თავმჯდომარეთ. ბანკის ხელმძღვანელობის დროს მან დიდი სარგებლობა მოუტანა კერძო სავაჭრო ორგანიზაციებს და პირებს. განსაკუთრებით ბევრს სარგებლობდა მისი ღვიძლი ძმა იაკობ კრასნოშჩეკოვი. მან გახსნილი ჰქონდა კრედიტი უსაზღვროთ, მაშინ როცა სახელმწიფო ორგანიზაციებს [illegible] ისტუმრებდნენ. მაგალითად, 23 წლის მაისის დეპრესიის დროს მან მიიღო 35000 მან. (ოქრ.) სესხი, საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა კი შესძლო მხოლოდ 17.000 მან. მიღება.

ამას გარდა იაკობ კრასნოშჩეკოვი თავის ძმის—ბანკის თავმჯდომარის ალექსანდრე კრასნოშჩეკოვის დახმარებით იღებდა სავალუტო ბაზრის განწყობილების ინფორმაციას, რასაც ის იყენებდა შავ ბირჟაზე ვალუტის დიდი მოგებით ტრიალებისათვის. იაკობს თავის ძმის ალექსანდრეს წყალობით ბანკიდან კრედიტი ჰქონდა შეღავათიან პროცენტში. ამასვე უწყობდა სხვა კერძო ფირმებს და პირებსა, რის სამაგიეროთ მათგან იღებდა შესაფერ გასამრჯელოს. გარდა ამისა იაკობი იყო სააქციონერო საზოგადოების ეგრედწოდებულ „არკ"-ის მეთაური. ეს საზოგადოება წარმოადგენდა ამერიკანელი კაპიტალისტ კრისის ფირმას. საზოგადოება ფართოთ ხმარობდა სამრეწველო ბანკის კრედიტებს და იღებდა სესხით თანხებს, რისი საუზრუნველყოფოთ ბანკს არაფერს არ უდგენდენ. ღებულობდნენ ბანკიდან სხვა და სხვა მათთვის სასარგებლო საიდუმლო ცნობებს.

ექსპერტიზის დაახლოვებით გამოანგარიშებამ აღმოაჩინა, რომ ბანკმა მისი თავმჯდომარის ა. კრასნოშჩეკოვის ასეთი „ოპერაციებით" დაკარგა 1.438.116 ოქროს მანეთი.

როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, „ნეპმანი" იაკობ კრასნოშჩეკოვი სარგებლობდა არა მარტო „შეღავათიანი" სესხით, არამედ ის ბატონპატრონი იყო ბანკის საქმეების. მის ბრძანებას ასრულებდნენ ბანკის ყველა მოსამსახურეები. ვინც არ ემორჩილებოდა მას, თავის ძმის საშუალებით ითხოვდა.

თვით ბანკის თავმჯდომარე ა. კრასნოშჩეკოვი სარგებლობდა თავის თანამდებობით და ხარჯავდა სახელმწიფო ფულს თავის პირადი სარგებლობისათვის. ბანკის თავმჯდომარეობის დროს ის ყოფილა ამერიკანულ ფირმის „რაიკის" წარმომადგენელი რუსეთში. ბანკის საშუალებით ის ეხმარებოდა ამ ფირმას. ფირმისაგან ის იღებდა თვეში 200 დოლარს. ამ ფულს ფირმა აძლევდა მის ცოლს, რომელიც იმყოფებოდა ამერიკაში.

ბანკის მოსამსახურეთა შორის ყურადღებას იქცევს მოსამსახურე ქალი [illegible] — ა. კრასნოშჩეკოვის საყვარელი. ის იყო მიღებული ტექნიკური შტატის თანამდებობაზე, მაგრამ მოკლე დროში მისი პირველი ჯამაგირი ერთი ოცად გაიზარდა. იღებდა ავანსათ სხვადასხვა პირად საჭიროებისათვის. მაგალითად, [illegible] კრიმში წასვლის დროს მიიღო 450 ოქროს მანეთი და გაგზავნილი იქნა საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონით (ცალკე კუპეში) ბანკის ხარჯზე. წასვლის დროს მას მოუწყო ა. კრასნოშჩეკოვმა საზეიმო გაცილება საჩუქრებით და ავტომობილებით.

ბანკის თავმჯდომარე ა. კრასნოშჩეკოვი ეწეოდა ფართოდ გაშლილ ცხოვრებას. ბანკის ხარჯზე აწყობს მოსკოვში „ოსობნიაკს," სახლს, ყიდულობს ავეჯს და საჭირო ნივთებს. აცმევს თავისიანებს მდიდრულათ (კარაკულებში). თვითონ ერთი წლის განმავლობაში შეუკერავს 17 კოსტიუმი და 6 პალტო. ღვინოებს და კონიაკებს ყიდულობდა ბანკის ანგარიში. ნავს, მარილს, ზეთს, კარაქს და სხვა ამგვარ საგნებს ბანკის ხარჯზე იძენდა, რასაც ატარებდა „во временное пользование"-ს რუბრიკით. პარტიის საწევრო გადასახადიც ბანკის თანხებიდან შეჰქონდა. ცხოვრება მოწყობილი ჰქონდა მდიდრულათ. ოჯახის წევრებს ყველაფერი უხვად ჰქონდათ. მისი ქალიშვილები კავკასიაში მიემგზავრებოდნენ „გუვერნანტკის" თანხლებით ცალკე კუპეში.

ა. კრასნოშჩეკოვი არ აკლდებოდა რესტორნებში ქეიფსაც. მთელ თავის დროს ბანკის შემდეგ ის ატარებდა საუკეთესო რესტორნებში ცუგანი ქალების გუნდებით. მიდიოდა „სამსახურის გამო" პეტროგრადში და მთელ კვირეების განმავლობაში განუწყვეტლივ ქეიფობდა.

ეს პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ ჟამათ მოსკოვში. საქმის გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო რ. კ. პ. ცენტრალ. საკონტროლო კომისიამ.

ლან—ძე.

მოსკოვი, 8 მარტი.

გერმანიის ამბები

რეიხსტაგის დათხოვნა.

რომი. 15 მარტი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, კანცლერმა მარქსმა წაიკითხა დეკრეტი რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ. რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა იმედი, რომ გერმანიის ხალხი შეუდგება არჩევნებს ყოველგვარ ზეგავლენის გარეშე და თხოვნით მიმართა გერმანელ ხალხს ერთგულად დაიცვას თავისი ინტერესები.

პარიზი. 15 მარტი. რეიხსტაგის არჩევნები დანიშნულია 4 აპრილისათვის.

როგორ იქნა გაშვებული რეიხსტაგი.

ბერლინი. 13 მარტი. დიდი ხნით ადრე გაშვებამდე რეიხსტაგის მთელი შენობა სავსე იყო სისხლის სამართლის პოლიციის აგენტებით, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ თვით პრესის ტრიბუნაც, რათა დეპუტატობრივი სათანადო განკარგულების მიღების შემთხვევაში კომუნისტ-დეპუტატები (ვინაიდან რეიხსტაგის გაშვებასთან დაკავშირებით დეპუტატებს ხელშეუხებლობა ავტომატიურად უქმდება). მემარცხენეების ხმაურში მარქსმა გამოაქვეყნა დეკრეტი რეიხსტაგის გაშვების შესახებ. კომუნისტ-დეპუტატის [illegible] შეკითხვას საგანგებო პოლიციური ზომების მიზეზების შესახებ პოლიციის პრეზიდენტმა—სოციალ-დემოკრატმა რიხტერმა პასუხი არ გასცა.

გერმანიის მარკა.

ბერლინი. 13 მარტი. თავის სიტყვაში—რეიხსტაგის დახურვის დროს—მარქსმა მიუთითა გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელიც თუმცა-და არც იმდენად სერიოზულია, რომ გავლენა მოახდინოს მარკის სტაბილიზაციაზე. თუ მარკის სტაბილიზაციის საქმე უნაყოფოდ დამთავრდა, გერმანიისათვის აღარ იქნება ხსნა. სხვა ცდა ვალუტის სტაბილიზაციისათვის შეუძლებელია. ოპოზიციონური პარტიების წინადადებები, რომლებიც მოითხოვდნენ სავალდებულო დადგენილებათა შეცვლას, ხელს უშლიდენ მარკის სტაბილიზაციას, რამაც შექმნა რეიხსტაგის გაშვების საბაბი.

კომუნისტების პროტესტი გაფიცულ მუშების შევიწროების წინააღმდეგ.

ბერლინი. 13 მარტი. ჰამბურგში ხმოსანთა საბჭოს სხდომაზე ადგილი ჰქონდა მღელვარე სცენებს; კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს პოლიციის პრეზიდენტის მოქმედების გამო, რომელიც მიმართული იყო გაფიცულების წინააღმდეგ; კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს აგრეთვე შტრეიკბრეხერების „ტექნიკური დახმარების" რაზმების გამოყენების წინააღმდეგ.

შპანდაუში დაითხოვეს 4000 მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ.

ბერლინში დათხოვნილია დაახლოვებით 5000 მკერვალი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ბესარაბიის საკითხის გარშემო

ბესარაბიის და რუმინეთის მშრომელები ილაშქრებენ ოკუპანტების წინააღმდეგ.

ბესარაბიის სხვადასხვა კუთხეებში იმართება საპროტესტო მიტინგები რუმინელ დამპყრობლების წინააღმდეგ.

ბესარაბიის მცხოვრებთა პროტესტს ოკუპანტების წინააღმდეგ მხარს უჭერენ რუმინეთის მუშებიც.

ბესარაბიის მცხოვრებლები მოითხოვენ ბესარაბიიდან რუმინეთის ჯარების გაყვანას და ბესარაბიის საბჭოთა კავშირთან შეერთებას მოლდავიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის სახით.

სევასტოპოლში მყოფმა ბესარაბიელებმა გამოიტანეს რეზოლუცია, რომელშიც მადლობას უცხადებენ საბჭოთა მთავრობას ყურადღებისათვის და მოითხოვენ ბესარაბიის საბჭოთა კავშირთან შეერთებას.

ფრანგმა კომუნისტებმა დეპუტატთა პალატაში გაილაშქრეს საფრანგეთის მიერ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

ბესარაბიის და რუმინეთის მშრომელთა ხმა

მუშები იბრძვიან ოკუპანტების.

ოდესა. 14 მარტი. რუმინეთის ნავთსადგურ კონსტანციიდან ჩამოსული მეზღვაურები იუწყებიან, რომ რუმინეთსა და ბესარაბიაში ვენის კონფერენციის მოახლოვების გამო სულიერი განწყობილება აწეულია. ბესარაბიის მცხოვრებნი და რუმინეთის მუშები გაბედულად ილაშქრებენ ოკუპანტების წინააღმდეგ. ბესარაბიის ბევრ ქალაქებში გამოაქვთ რეზოლუციები სამხედრო წესების გაუქმების და ტერორის შეწყვეტის შესახებ.

დნესტრის ნაპირობზე.

ოდესა. 14 მარტი. დნესტრის სანაპიროებზე მდებარე სოფლებიდან და დაბებიდან მოსული ცნობები მიტინგების და დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც იმართება რუმინეთის ჩაგვრისაგან ბესარაბიის განთავისუფლების ლოზუნგით. გამოაქვთ რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დელეგაციისაგან, ვენის კონფერენციაზე არავითარ დათმობაზე არ წავიდეს ბესარაბიის საკითხში.

სევასტოპოლში მყოფ—ბესარაბიელების ნაკაზი.

სევასტოპოლი. 14 მარტი. გაიმართა ბესარაბიაში დაბადებულ მოქალაქეთა კრება, მიიღეს რეზოლუცია, სადაც ბესარაბიის მოქალაქენი მადლობას უცხადებენ საბჭოთა მთავრობას სტუმართ-მოყვარეობისათვის და სთხოვენ განთავისუფლონ ბესარაბია რუმინეთის ჩაგვრისაგან და შექმნან მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკა.

ფრანგი კომუნისტები ყაჩაღების კავშირის წინააღმდეგ

საფრანგეთის კომუნისტების გალაშქრება.

პარიზი. 13 მარტი. კომუნისტები ილაშქრებდნენ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციის წინააღმდეგ. მორუჩიმ, კაშენმა და ერნსტ ლაფონმა მოიყვანეს მთელი რიგი იურიდიული და ისტორიული დოკუმენტებისა, რომლებიც ამტკიცებენ შეერთების უკანონობას. პუანკარემ განაცხადა, რომ ოქმი შეერთების შესახებ არ შესცვლის საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მომავალ ურთიერთობას, ვინაიდან ოქმში გათვალისწინებულია სპეციალური ზომა საბჭოთა კავშირის ინტერესების დასაცავად. შედგენილი იქნება კომისია, რომელშიაც საბჭოთა კავშირის ინტერესებს დაიცავს ერთა ლიგის წარმომადგენელი.

კაშენმა და რენომ პროტესტი განაცხადეს საბჭოთა კავშირის 180 მილიონიან მოსახლეობისადმი ასეთი მოპყრობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ფინეთი

საფოსტო კონვენცია.

მოსკოვი. 15 მარტი. ფინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს დაიწყოს მოლაპარაკება საფოსტო კონვენციის დადების შესახებ.

იაპონია

სახალინის საკითხი.

ნიუ-იორკი. 13 მარტი. „კომპანია სინკლერ"-ის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იაპონიის მიერ კომპანიის ინჟინერების სახალინიდან გადმოსახლება არავითარ გავლენას არ იქონიებს ხელშეკრულებაზე, რომელიც დაიდო „კომპანია სინკლერ"-სა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის: ეს მხოლოდ ავტომატიურად გააგრძელებს კონცესიების ვადას. განიარაღების ვაშინგტონის კონფერენციაზე იაპონიის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ სახალინის რუსეთის ნაწილის ოკუპაცია არის მხოლოდ დროებითი ზომა.

საპასუხოდ იუზმა იმედი გამოსთქვა, რომ იაპონია განახორციელებს სახალინის ევაკუაციას ახლო მომავალში და დაუბრუნებს სახალინს რუსეთის ხალხს. ვერავინ ვერ უარჰყოფს იმას, რომ სახალინის ჩრდილოეთის ნაწილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირს.

ინგლისი

სახელმწიფო ტვირთების დაზღვევა.

მოსკოვი. 15 მარტი. 11 მარტს ლონდონში დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსა და ინგლისის დამზღვევ საზოგადოებათა ერთ ჯგუფს შორის იმ სახელმწიფო ტვირთების ხელახლა დაზღვევის შესახებ, რომლებიც იზღვევა სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოში. ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევს სამმართველოს გააფართოვოს ოპერაციები სატრანსპორტო დაზღვევის დარგში.

სხვადასხვა ამბები

იაპონია

კორეელების პარტიზანული რაზმების თავდასხმა.

ვლადივოსტოკი. 14 მარტი. ჩინეთ-ამერიკის სააგენტოს ცნობით, კანგო-პხეინის მაზრაში—იაპონიის პროვინციაში გამოჩნდენ კორეელების პარტიზანული რაზმები, რომლებმაც სროლა აუტეხეს იაპონიის პოლიციის ადგილობრივ რაზმებს. ბრძოლა რამოდენიმე საათს გაგრძელდა. მოკლულია ერთი იაპონელი პოლიციელი. არის მრავალი დაჭრილი. პარტიზანები უგზო-უკვლოდ მიიმალენ.

ატამან სემიონოვის ხრიკები.

ვლადივოსტოკი. 14 მარტი. ტოკიოში კვლავ ხმაურმა ყოფილმა ატამანმა სემიონოვმა ინახულა ყოფილი კაბინეტის ყველა წევრები და ზოგიერთი ეხლანდელი მინისტრები, რომელთაც ის არწმუნებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი გალაშქრების შესაძლებლობაში.

საფრანგეთი

„იუმანიტეს" თანამშრომლის საქმე.

პარიზი. 13 მარტი. პარასკევს იწყება გაზეთ „მატენის" მიერ აღძრული საქმე „იუმანიტეს" თანამშრომლისა—სუვარინის წინააღმდეგ. სუვარინმა გამოააშკარავა საფრანგეთის პრესის გამყიდველობა.

ახალი ცნობები საფრანგეთის პრესის გამყიდველობის შესახებ.

პარიზი. 13 მარტი. „იუმანიტემ" ხელახლა გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტებისა მეფის არქივიდან, რომლებიც ადასტურებენ საფრანგეთის პრესის გამყიდველობას.

რაფალოვიჩსა და კოკოვცევს შორის წარმოებული მიწერ-მოწერა ადასტურებს გაზეთ „მატენის" გამყიდველობას.

სერბია

მთავრობის და ვრანგელის ჯარების შეტაკება მაკედონელებთან.

სტამბოლი. 13 მარტი. კოსტენდილში მაკედონელების დაპატიმრების შემდეგ, მოხდა სერიოზული შეტაკება მთავრობის ჯარებსა და მაკედონელებს შორის.

მაკედონელების აჯანყებას დიდი სიმკაცრით ჰქრობენ მთავრობის ჯარები და ვრანგელის ბანდები.

ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა

ამხ. კალინინის მოხსენება

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მინსკი. 14 მარტი. ყრილობის დილის სხდომაზე საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კალინინმა.

ცნობის ხანა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოს საერთაშორისო პოლიტიკაში არის საბჭოთა კავშირის ცნობა ბურჟუაზიული მთავრობების მიერ. თუ ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჯერ კიდევ წინააღმდეგი არიან ცნობის, ბოლოს და ბოლოს ისინიც იძულებული იქნებიან გვიცნონ ჩვენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამა წლის ბოლომდი საბჭოთა კავშირს იცნობს საფრანგეთიც, რომელიც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგება ჩვენს ცნობას. ამერიკაც კი იძულებული განიხილოს ის საკითხები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან საბჭოთა კავშირის ცნობასთან.

ჩვენი დამოკიდებულება პოლონეთთან.

ამხ. კალინინი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის დამოკიდებულებაზე და აღნიშნა, რომ პოლონეთთან ჩვენ დიდი ხანია გვქონდა სავაჭრო დამოკიდებულება, დაწყებული ვარშავიდან და გათავებული ვლადივოსტოკით, არხანგელსკით და ბათომით, არ ყოფილა არც ერთი ქალაქი, სადაც არ ყოფილიყოს პოლონეთის საქონელი. პოლონეთს რუსეთში ჰქონდა სავაჭრო აგენტურის მდიდარი ქსელი და ის კონკურენციას უწევდა მოსკოვის და ივანოვო-ვოზნესენსკის მანუფაქტურას. ერთი შეხედვით, პოლონეთს უნდა ესარგებლა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებით და უნდა მოენდომებია ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზიის მმართველმა წრეებმა აღლო ვერ გაუგეს მდგომარეობას და ვერ ისარგებლეს იმ მომენტითაც კი, როდესაც ჩვენ პოლონეთთან დავდევით რიგის ხელშეკრულება; აქამდის სავაჭრო ურთიერთობას, პოლონეთთან უმნიშვნელო ხასიათი აქვს და ჯერ კიდევ არ არის მასთან დადებული სათანადო ხელშეკრულება.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ შეცვლილი იქნეს ის არანორმალური ფსიქოლოგია, რომელსაც ადგილი აქვს ამ ორ სახელმწიფოს შორის. პოლონეთი, როგორც სახელმწიფო, დანაწილებული იყო რუსეთის მიერ. პოლონეთში მყარებული რუსი მოხელეები იყვენ, ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენი მოვალეობაა შევცვალოთ პოლონეთსა და ჩვენს შორის არსებული დამოკიდებულება. ჩვენ რამოდენიმე ათეული წელი ვიბრძოდით პოლონეთთან ერთად. პოლონეთის ხალხის რამდენი საუკეთესო შვილები დაიღუპნენ რუსეთის ციხეებში და საღრჩობელაზე! ყველა ეს გვავალებს ჩვენ გადავლახოთ ფსიქოლოგიური განცალკევება, რომელსაც ადგილი აქვს ორ მოძმე ხალხებს შორის. ეს ერთ ერთი დიდი ისტორიული ამოცანაა. განცალკევების ფსიქოლოგიის მოსპობა ყველაზე უფრო ძლიერი ფაქტორი იქნება ეკონომიური ურთიერთობათა მოსაგვარებლათ ჩვენსა და პოლონეთს შორის.

მდგომარეობა ინგლისში.

ამხ. კალინინი დაწვრილებით შეეხო ინგლისის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ მუშათა მთავრობა შექმნილ პირობების გამო იძულებული იქნება ისეთივე პოლიტიკა აწარმოოს, როგორსაც აწარმოებდენ წინანდელი მთავრობები: ის იძულებული იქნება დაიცვას თავისი ბურჟუაზია. ეს კი ინგლისის მუშათა კლასში გააძლიერებს მემარცხენე ფრთას—ინგლისის კომპარტიას, რომელიც გააერთიანებს ინგლისის მუშათა კლასს და ჩამოაყალიბებს მის რევოლიუციონურ მოთხოვნილებებს.

შინაური მდგომარეობა.

ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას, ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ამოცანაა ეხლა ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ. „მაკრატლის" პოლიტიკას გაცილებით მეტი აქტუალური ხასიათი აქვს, ვიდრე იურიდიულად ცნობას. ამხ. კალინინმა სთქვა, რომ ეხლა დაიწყო განხორციელება ილიჩის ლოზუნგის—„მთავრობის გაიაფება".

ეროვნული საკითხი

შეეხო რა ეროვნულ საკითხს, ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რესპუბლიკაში ეროვნული მოძრაობა აყვავდა. ჩვენი ამოცანაა ეხლა გამოვნახოთ ისეთი ფორმები, რომ ზღუდეებმა ცალკე რესპუბლიკებს შორის ხელი არ შეუშალონ წარმოების მოწესრიგებას; ამასთანავე ეს ფორმები უნდა გამოხატავდენ თვითეული ცალკე ერის ნაციონალურ თავისებურებას; მათ საფუძვლებზე ჩვენ უნდა ჩავაბათ მუშათა და გლეხთა მასები სახელმწიფო აღმშენებლობაში. იმპერიალისტური ომის დროს სასტიკი ძალადობის და იძულებითი შეკოწიწების პოლიტიკა სასტიკად დამარცხდა. ჩვენ ერებს ვაძლევთ ფართო თავისუფლებას, სრულ გამოყოფამდისაც კი. ამ ბუნებრივი ნებაყოფლობითი გზით ჩვენ ვაკავშირებთ და ვაერთიანებთ მუშათა და გლეხთა მასებს.

კამათი

მუშების და გლეხების გამოსვლა.

მინსკი. 15 მარტი. ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მრავალმა მუშებმა და გლეხებმა. თავის სიტყვებში ისინი აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია ცნობილია გლეხების მიერ, და არა მარტო ცნობილია, არამედ მათ მიერ არის შექმნილი; აღნიშნავდენ, რომ ცნობა მუშათა და გლეხთა კავშირის სიმტკიცის შედეგია. გლეხს, რომელსაც არ აქვს გუთანი, შეუძლია ბარით დახნას მიწა; გლეხების და მუშების ამ სიმტკიცით და ამტანლობით საბჭოთა ხელისუფლება ცნობილი იქნება უცხო სახელმწიფოების მიერ.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა

ამხ. ამხ. ტროცკის და რიკოვის ჯანმრთელობა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კალინინმა, რომელმაც აუარებელი შეკითხვები მიიღო, უპასუხა შეკითხვას ამხ. ტროცკის და რიკოვის ჯანმრთელობის შესახებ; ამხ კალინინმა აღნიშნა, რომ ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის გაუმჯობესება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ორი თვის შემდეგ ის, ალბათ, სრულიად ჯანმრთელი იქნება და დაუბრუნდება მუშაობას. ამხ. რიკოვმა, პირიქით, მხოლოდ ეხლა მიიღო შვებულება. ექიმების რჩევით მან უნდა იქიმოს სამი თვე. ამხ. რიკოვის მთავარი ავადმყოფობაა—დაღლილობა და ორგანიზმის დასუსტება. მისთვის საჭიროა არა ექიმობა, არამედ დახარჯულ ძალების აღდგენა. სამი თვის შემდეგ ამხანაგი რიკოვი დაუბრუნდება მუშაობას.

ამერიკის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი.

შეკითხვაზე—ამერიკის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა კავშირისადმი, ამხ. კალინინი უპასუხებს, რომ ამერიკა ეჭვის თვალით უყურებს რუსეთს: ამერიკის მთავრობა სცდილობს ხელი შეგვიშალოს ჩვენ იმაში, რომ ჩვენ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობისათვის შესაფერი ადგილი დავიჭიროთ საერთაშორისო ბაზარზე, რადგან ჩვენი პურის გამოჩენა ბაზარზე დასცემს ამერიკის პურის ფასებს და კალაპოტიდან ამოაგდებს ამერიკის მონოპოლიურ სასოფლო-სამეურნეო ბაზარს.

გადავიხდით თუ არა ჩვენ ვალებს.

შეკითხვაზე—გადავიხდით თუ არა ჩვენ ვალებს, ამხ. კალინინი უპასუხებს, რომ იურიდიულად ცნობას შეიძლება წინეთ ჰქონდა რაიმე ღირებულება, ეხლა კი მისი ღირებულება შესამჩნევად შემცირდა. ამჟამად ცნობა „უფასოდ" ხდება.

ინგლისის მთავრობა, რომელსაც ეწინოდა ცნობის, არ უკავშირებს მას თავის პრეტენზიებს. ამჟამათ ორივე მხარე ამზადებს დელეგაციებს, რომელნიც თავს მოიყრიან ლონდონში. იქ დასმული იქნება საკითხი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ ინგლისისადმი და წამოყენებული იქნება აგრეთვე საკითხი, როგორც ინგლისის, ისე რუსეთის პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ. ინგლისის ბურჟუაზიას, როგორც შეილოკს, უნდა მიიღოს ის ხარჯები, რომლებიც გასწია მან იმ დროს, როდესაც ჩვენ გვაწოდებდა ომის იარაღებს. გენუის კონფერენციაზე ჩვენ კატეგორიული უარი ვსთქვით ამ ვალების განაღდებაზე. ეჭვ გარეშეა, რომ ამჟამად, როდესაც ჩვენი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, ჩვენ ლაპარაკს არ დავიწყებთ სამხედრო ვალების შესახებ. რუსეთმა ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიისაგან დიდი ზარალი ნახა. არ არის არც ერთი საზღვარი, რომელიც არ აოხრებულიყოს. თუ ყველაფერს გამოვიანგარიშებთ და პატიოსნათ შევაფასებთ მსხვერპლს, რომელიც ჩვენ გვიღიეთ, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი და მათი პრეტენზიები გაქვითული გამოვა.

ბესარაბიის საკითხი

შეკითხვაზე ბესარაბიის შესახებ, ამხ. კალინინმა უპასუხა, რომ ეს საკითხი მოახლოვებულ კონფერენციაზე გამოიწვევს დიდ დისკუსიას და ის ყველაზე უფრო აქტუალური საკითხი იქნება კონფერენციაზე. რუმინეთის ბურჟუაზიას თავის ბრჭყალებში უჭირავს ბესარაბია და სტანჯავს გლეხობას; რუმინეთის ბურჟუაზიამ დაარღვია პირობა და ორი წლის შემდეგ არ გაანთავისუფლა ბესარაბია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დელეგაცია დასვამს ამ საკითხს კონფერენციაზე და კატეგორიულათ მოითხოვს ამ პირობის შესრულებას.

რეზოლუცია

ამხ. კალინინის მოხსენების გამო მიღებული იქნა ერთხმად რეზოლუცია, რომელიც ესალმება საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ამხ. შ. ელიავას განცხადება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა ამით აცხადებს, რომ ის კერძო საქმეების შესახებ [illegible] არ იღებს, არავის არ აძლევს სარეკომენდაციო წერილებს სამსახურში შესვლის ან სხვა რაიმე საქმის გამო. ამიტომ ის სთხოვს ამ საქმეების შესახებ მასთან ნურავინ გამოცხადდება და ტყუილ-უბრალოთ დროს ნუ წაართმევს.

ამასთანავე ის აცხადებს, რომ არც სამსახურის და არც კერძო საქმეების შესახებ ის ბინაზე არავის იღებს.

ამხ. სვერდლოვის გარდაცვალების 5 წლის თავი

ამხ. სვერდლოვის ბიოგრაფია

მოსკოვი. 14 მარტი. ამხ. სვერდლოვი დაიბადა ნიჟნი-ნოვგოროდში 1885 წელს ხელოსნის ოჯახში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა არალეგალურ მუშაობაში. 1902 წ. ნიჟნი-ნოვგოროდში მომხდარ მაისის დემონსტრაციის შემდეგ, ამხ. სვერდლოვი დაპატიმრებული იქნა და ექვს თვეზე მეტი დაჰყო ციხეში.

1903 წ. ამხ. სვერდლოვი აქტიურ მუშაობას ეწევა ნიჟნის და სორმოვის მშრომელთა შორის; ის თავის გარშემო აკრეფდა იმ მუშების ჯგუფებს, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ მენშევიკების ადგილობრივ პარტკომის მოქმედებით. ამხ. სვერდლოვის ცხოვრების ამ პერიოდმა თავისი მხატვრული გამოხატულება ჰპოვა გორკის ცნობილ მოთხრობაში „დედა".

1904 წ. ამხ. სვერდლოვის სახელი პოპულიარული ხდება სორმოვოს, ნიჟნის და ნიჟნის ახლოს მდებარე სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა მასებს შორის.

1905 წ. ამხ. სვერდლოვი გადასახლდა ყაზანში, სადაც ის ეწევა, რევოლიუციონურ არალეგალურ მუშაობას მონაწილეობას იღებს დემოკრატიულ გაზეთ „ვოლჟსკი ლისტოკ"-ში და აქტიურ მონაწილეობას იღებს საგაფიცვო მოძრაობის მოწყობაში.

1905 წ. დეკემბერში მოსკოვში მომხდარ აჯანყების წინ ამხ. სვერდლოვი გამოჩნდება ურალზე და იქ პარტიის ცეკას დავალებით ეწევა მუშაობას საერთო პარტიულ ურალის ყრილობის მოსამზადებლათ. ამხ. სვერდლოვი აერთებს გაერთიანოს პარტიის ურალის ბიუროს გარშემო უფის, ეკატერინბურგის და პერმის მსხვილი პარტიული ორგანიზაციები; ამას გარდა მან მთელს ურალს მოჰფინა საქარხნო პარტიული ორგანიზაციების ქსელი.

1906 წ. გაზაფხულზე ამხ. სვერდლოვი დაპატიმრებული იქნა და იჯდა პერმის ციხეში, საიდანაც გადაყვანილი იქნა შემდეგ ეკატერინბურგის მაზრის ნიკოლაევის ციხეში. მეფის სასამართლომ ამხ. სვერდლოვს მიუსაჯა ციხეში დამწყვდევა 2 ნახ. წლით. გამოვიდა რა ციხიდან 1908 წ., ამხ. სვერდლოვი მიდის მოსკოვში, სადაც აწყობს პარტიულ წრეებს მუშათა უბნებში.

1909 წ. დეკემბერში ამხ. სვერდლოვს კვლავ აპატიმრებენ და ასახლებენ ნარიმის მხარეს, საიდანაც ის ახერხებს გამოქცევას და იმალება პეტროგრადში; აქ ის აქტიურ მონაწილეობას იღებს მესამე სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციის მუშაობაში.

1910 წელს მას ხელმეორედ აპატიმრებენ და ასახლებენ ისევ ნარიმის მხარეს, საიდანაც ის ხუთჯერ გარბის, მაგრამ უშედეგოთ. მხოლოდ 1912 წ. ახერხებს ამხ. სვერდლოვი ხელახლა გაქცევას და ის მოევლინება პეტროგრადს, როგორც მეოთხე სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციის ბიუროს ხელმძღვანელი. 1913 წელს მალინოვსკის პროვოკაციის გამო, ამხ. სვერდლოვს ხელახლა აპატიმრებენ და ასახლებენ ტურუხანის მხარის მიყრუებულ სოფელში, საიდანაც მას ანთავისუფლებს მხოლოდ თებერვლის რევოლიუცია. რევოლიუციის პირველ პერიოდში ამხ. სვერდლოვი თავის ძალებს სწირავს ბრძოლას დროებითი მთავრობის წინააღმდეგ და პროლეტარიატის სხვა დიდ ბელადებთან ერთად მიჰყავს მუშათა კლასი ოქტომბრამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ამხ. სვერდლოვს უჭირავს სრულიად რუსეთის ცაკის პირველი თავმჯდომარის თანამდებობა. რუსეთის კომპარტიის ცეკას დავალებით ამხ. სვერდლოვი ხსნის დამფუძნებელ კრების სხდომას და აქვეყნებს „მშრომელების უფლებათა დეკლარაციას".

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ტურუხანში გადასახლების დროიდან, ამხ. სვერდლოვი გარდაიცვალა 1919 წელს 16 მარტს მოსკოვში. მაშინ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ამხ. სვერდლოვის ხსოვნისადმი, ლენინმა სთქვა: „ჩვენი რევოლიუციის მსვლელობაში და მის გამარჯვებებში ამხ. სვერდლოვმა შესძლო უფრო სისრულით, უფრო მთლიანად, ვინემ სხვა რომელიმემ პროლეტარული რევოლიუციის მთელი შინაარსის გამოხატვა. ამაშია უფრო მეტად, ვინემ რევოლიუციის საქმისადმი მის თავდადებაში, მისი მნიშვნელობა; როგორც პროლეტარული რევოლიუციის ბელადის ამხ. სვერდლოვის ხსოვნა იქნება არა მარტო რევოლიუციონერის ერთგულების სიმბოლო, არა მარტო ნიმუში პრაქტიკული სიფხიზლისა და უნარის შეერთების, მასებთან სრული კავშირის და მათთვის გზის ჩვენების ცოდნის, არამედ ის იქნება თავდები იმისა, რომ პროლეტარიატის უფრო და უფრო ფართო მასები წავლენ წინ კომუნისტური რევოლიუციის სრულ გამარჯვებისაკენ".

პარიზის კომუნის 53 წლის თავისათვის

პარიზის კომუნის დღის ჩატარების წესი.

ლენინის რაიონი:

1. ნაძალადევის თეატრში მომხსენ. ამხ. ცხაკაია.
2. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (მუშტაიდი) „ „ ელიზაბედაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

არსენალის რაიონი:

1. ცენტრალური მუშათა კლუბი მომხსენ. ამხ. ტალახაძე.
2. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი „ „ შ. ლეჟავა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ავლაბარ ხარფუხის რაიონი:

1. ავლაბრის კლუბში მომხსენ. ამხ. გუსეინოვი.
2. ნავთლუღის კლუბში „ „ მოგილევსკი.
3. ტყავზე მომუშავეთა კლუბში „ „ კოსტანიანი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ქალაქის რაიონი:

1. მბეჭდავების კლუბში მომხსენ. ამხ. რუბენი
2. ტფილისის ელექტრო-მექ. ქარხ. კლუბში „ „ ნ. ოკუჯავა.
3. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში „ „ ივანიანი.
4. სტუდენტთა კლუბში „ „ ამხ. ვირაპი.
5. კარლ მარქ. სახ. კლუბში (ქალ. ფურნისთან) „ „ გ. რუხაძე.
6. განათლების მუშაკთა სახლში „ „ ნოვიკოვი.
7. ცენტრ. პარტსკოლაში „ „ მ. ოკუჯავა.
8. საფაბრ.-საქ. სას.წ. კლუბში „ „ გ. სტურუა.

დასაწყისი 6 საათზე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპ. განყოფილება.

რევოლიუციისთვის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის მოწოდება

მოსკოვი. 12 მარტი. რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცეკამ მიმართა ყველა მშრომელებს შემდეგი მოწოდებით:

„მეგობრებო და ამხანაგებო! პარიზის კომუნის 53-ე წლის თავს ყველა ქვეყნის მშრომელები ხვდებიან ბრძოლაში შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთად-ერთ საბჭოთა კავშირში მუშები და გლეხები დღესასწაულობენ კომუნის დღეს, როგორც გამარჯვებულები. დანარჩენ ქვეყნებში ბურჟუაზია, რომელსაც თეთრი ტერორის ქვეშ ჰყავს მუშათა კლასი, კიდევ სდგას ხელისუფლების სათავეში. მსოფლიო რევოლიუციასთან ბრძოლაში კაპიტალი სცდილობს პირველყოვლისა მოსპოს ხელმძღვანელები, დაასუსტოს უფრო გაბედული და თავგანწირული მებრძოლები კომუნიზმისათვის. თუ 1871 წლის მაისის კვირა დაუჯდა საფრანგეთის პროლეტარიატს ათასობით საუკეთესო შვილების სიცოცხლე, დღეს კი—1924 წელს საერთაშორისო მუშათა კლასი თავის მსხვერპლს ანგარიშობს ათეულ ათასობით!

იტალია, ბულგარეთი, გერმანია, პოლონეთი, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, ფინეთი—როგორ იამაყებდა გენერალი გალიფე ასეთი ღირსეული მოწაფეებით—ამ სახელმწიფოთა მთავრობით!

„დემოკრატიული" ამერიკა, სადაც კუ-კლუქ-კლანის ფაშისტური ბანდებს, საშუალო საუკუნოების სამღვთო აღთქმების ერთგულებს, მათ ხელში ჩავარდნილი მუშები საშუალო საუკუნოების ინკვიზიციის წამებაში ჰყავთ.

„მუშური" ინგლისი, რომლის ბატონობის ქვეშ ციხეში იტანჯებიან 4000 რევოლიუციონერი ირლანდიელი და ათასობით ინდოელები, რომლებიც იბრძვიან არსებობის უფლებისათვის.

„სამართლიანი" იაპონია, სადაც „ვეირენშრინამ" ასე „მოხერხებულად" გამოიყენა სახალხო უბედურება—მიწისძვრა, რათა გაენადგურებია ასობით თავის საქმის ერთგული პროლეტარები.

ბრწყინვალე ვერსალის ტრადიციებით აღზრდილი რუმინეთის ოფიცრები, რომლებიც საშინელი წამებით უმასპინძლდებიან თავიანთ მსხვერპლს.

საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო! თქვენ განიცადეთ ცარიზმის საშინელება, თქვენ იცით, რომ დღევანდელი შურისძიება სულთმობრძავი კაპიტალიზმისა, მისი მესაფლავესა—მუშათა კლასის მიმართ აჯერ უფრო ძლიერი და უსასტიკესია. ნერჩინის კატორღის საშინელება იჩრდილება უნგრეთის „ციმბირის"—საკონცენტრაციო ბანაკების წინაშე; წამება რუმინეთის ციხის ტირბუკნას კატაკომბებში არაფრით არ ჩამოუვარდება ორლოვის ცენტრალის საშინელებას.

ჩაგრულებს, დევნილებს, ციხეში მომწყვდეულებს ესაჭიროებათ თქვენი დახმარება, საბჭოთა კავშირის მშრომელებო! არა მარტო ფულით—უფრო მეტით, ვინემ ფულით! პროლეტარიატის მებრძოლ რიგებიდან მოწყვეტილნი, განშორებულნი ოჯახებისაგან, ყოველგვარ აუცილებელ საგნებს მოკლებულნი, დაპატიმრებულები მაინც არ ჰკარგავენ მათი და მთელი მუშათა კლასის განთავისუფლების იმედს:

დეე მათთვის 18 მარტი იქნეს იმის დამამტკიცებელი, რომ არ არის საჭირო ამ იმედის დაკარგვა—ის განხორციელდება. ჩვენი დახმარება—ეს არის დახმარება იმათთვის, რომლებიც ჩაებენ ბრძოლაში კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ. მათთვის დახმარების აღმოჩენით ჩვენ ვაჩქარებთ კაპიტალის ბატონობის დამხობას მთელს მსოფლიოში.

18 მარტს საბჭოთა კავშირის წითელი დროშები მიესალმებიან მათ, რომელთაც წითელი დროშისადმი სამსახური დაუჯდათ ციხე და კატორღა.

პარიზის კომუნა დაეცა, რადგანაც 71 წლის მებრძოლებმა ვერ ჰპოვეს დახმარება სხვა სახელმწიფოების პროლეტარების მხრივ. საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო და მშრომელებო! 18 მარტს ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ მთელს მსოფლიოს, რომ კომუნის გაკვეთილს ამაოდ არ ჩაუვლია, რომ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა უკვე არსებობს.

ჩადექით რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში, შეაგროვეთ შემოწირულებანი კაპიტალის ტყვეების სასარგებლოდ. მხარი დაუჭირეთ რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის სექციების და განყოფილებების მუშაობას, აღიმაღლეთ თქვენი პროტესტის ხმა თეთრი ტერორისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

დავეხმაროთ კაპიტალის მსხვერპლთ

პარიზის კომუნის დღე, 18 მარტი კომინტერნის დადგენილების თანახმათ გატარებული უნდა იქნეს, როგორც რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დახმარების დღე, კაპიტალის ტყვეთა დახმარების ლოზუნგის ქვეშ.

ამ დღის საჭიროა, რომ ყველა კრებებზე მუშათა კლუბებში ფართოთ იქნეს წარმოებული აგიტაცია კაპიტალის მსხვერპლთა დახმარების საქმის სასარგებლოდ, ამასთანავე საჭიროა მოუწოდონ მუშებს შევიდნენ რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოებაში.

აგიტატორებმა მასალად უნდა გამოიყენონ თეზისები პარიზის კომუნის შესახებ, („ზარია ვოსტოკა"-ს 13 მარტის ნომერი, „რაბოჩაია პრავდა"-ს 16 მარტის ნომერი), რუსეთის კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მოწოდება და რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოების მოწოდება („ზარია ვოსტოკა"-ს 14 მარტის ნომერი).

ლოზუნგები 18 მარტისათვის

1) პარიზის კომუნის დღეს ნუ დავივიწყებთ დაპატიმრებულ მებრძოლებს მუშათა კლასის საქმისათვის.—ბურჟუაზიულ ციხეების რკინის კარებში გაუწოდეთ მათ დახმარების ძმური ხელი.

2) მუშებო და მუშა-ქალებო! 18 მარტს აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა თეთრი ტერორის, ფაშისტურ სიმხეცის, ბურჟუაზიულ ჯალათების წინააღმდეგ.

3) 18 მარტს შეეკითხე შენს თავს: „რა გავაკეთე მე ათეულ ათას დაპატიმრებულთა და ბურჟუაზიის მიერ გაჭირვებასა და სასოწარკვეთილებაში ჩაყრილ მათი ოჯახების მდგომარეობის შესამსუბუქებლად"?

4) 35,000 კაცი დაიღუპა პარიზის კომუნის ბარიკადებზე 1871 წელს. 1924 წელს 100,000-ზე მეტი მებრძოლი იტანჯება კაპიტალის ციხეებში. მათი დახმარება შენი ვალია.

5) კაპიტალისტურ რეაქციის მსხვერპლთა დახმარებით შენ დააჩქარებ ამ რეაქციის დამხობას.

6) ციხეებში ჩაყრილებმა უნდა იგრძნონ გარეთმყოფ მუშების და გლეხების მზრუნველობა.—საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო! 18 მარტის დღე გადააქციეთ მეგობრული ჩვენი დახმარების, რევ. მებრძ. დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის დღეთ!

7) საერთაშორისო მუშათა სოლიდარობა ყველაზე უკეთ მტკიცდება დაპატიმრებულ მებრძოლთა და მათი ოჯახების დახმარების თვალსაჩინო მაგალითებით. განამტკიცეთ რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაცია!

ამხ. ფრუნზე

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

(ბიოგრაფია)

მოსკოვი. 14. მარტი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფრუნზე დაიბადა 1885 წელს, პიშპეკში, სემირეჩენის ოლქში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ამხ. ფრუნზე შევიდა 1904 წელს პეტროგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტების, მუშების და სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. ნოემბრის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს და გადაასახლეს.

1905 წ. ამხ. ფრუნზე მუშაობს რ. ს. დ. მ. პარტიის მოსკოვის და ივანოვო-ვოზნესენსკის ორგანიზაციებში და იღებს აქტიურ მონაწილეობას მოსკოვში მომხდარ დეკემბრის აჯანყებაში.

ამხ. ფრუნზე 1906 წელს მონაწილეობას იღებს პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე.

1907 წელს, ქ. შუიაში ამხ. ფრუნზე დააპატიმრეს და მას მიუსაჯეს 4 წლის კატორღა რ. ს. დ. მ. პ. წევრობისათვის, შემდეგ მას წაუყენეს ბრალდება პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში. ამხ. ფრუნზეს საქმის 5 ჯერ განხილვის შემდეგ ამხ. ფრუნზეს ორჯერ მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა და კიდევ მოუმატეს 6 წლის კატორღა.

1915 წელს ამხ. ფრუნზე გაიქცა ციმბირიდან და არალეგალურად სცხოვრობდა ჩიტაში, სადაც მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკურ ყოველკვირეულ „ვოსტოჩნოე ობოზრენიე" ორგანოში. ჟანდარმერიამ აღმოაჩინა ამხ. ფრუნზე და მის შემდეგ ის გაიქცა რუსეთში, სადაც ის მუშაობდა დასავლეთის ფრონტზე თებერვლის რევოლიუციამდე.

კორნილოვის გამოსვლების მომენტში ამხ. ფრუნზე ინიშნება რევოლიუციონური ჯარების შტაბის უფროსად მინსკის რაიონში და რამდენიმე ხნის შემდეგ არჩეული იქნა ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის და საგუბერნიო სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარედ.

იაროსლავლის აჯანყების შემდეგ, ამხ. ფრუნზე ინიშნება იაროსლავლის სამხედრო ოლქის კომისრად და შემდეგ კომანდირათ ურალის მიმართულებით.

კოლჩაკის შემოტევის მომენტში ამხ. ფრუნზეს აძლევენ ოთხ რაზმს, აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ჯგუფის სარდლობას. ამხ. ფრუნზეს უშუალო მონაწილეობით, ამ ჯგუფის არმიები სასტიკად ამარცხებენ კოლჩაკის ჯარებს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთის ფრონტზე.

კოლჩაკოვშჩინის ლიკვიდაციის შემდეგ, ამხ. ფრუნზე ინიშნება ოსმალეთის ფრონტის სარდლად.

1920 წლის აგვისტოში ამხ. ფრუნზე დანიშნულია სამხრეთის ფრონტის სარდლად და ჩქარა ანთავისუფლებს უკრაინას და ყირიმს თეთრების უკანასკნელ ნაშთებისაგან.

ვრანგელის ჯარების ლიკვიდაციის შემდეგ ამხ. ფრუნზე ინიშნება უკრაინის და ყირიმის ჯარების სარდლათ და რევოლიუციონერ სამხედრო საბჭოს რწმუნებულად უკრაინის ს. ს. რესპუბლიკასთან, რომელ თანამდებობაზედაც რჩება ახალ დანიშვნამდე.

ამხ. ფრუნზე არის რუსეთის კომპარტიის ცეკას და საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი.

ნაციონალ-დემოკრატების ბანდიტ-ხელმძღვანელის დაპატიმრება.

14 მარტს, ქუთაისში დაპატიმრებულ იქნა ნაციონალ-დემოკრატიულ-ბანდიტურ ცეკას წევრი მიხეილ გვალია.

1923 წ. 3 იანვარს ბოხლეულ ხალგურში (ქვათურის შტო) გაძარცულ იქნა სამგზავრო მატარებელი. ამ ძარცვას ხელმძღვანელობდა დაპატიმრებული მიხეილ გვალია. მძარცველებს ეგონათ, რომ ამ გონით მოსდიოდათ „ჩემი"-ს ფულები, მაგრამ ეს ფული მატარებელში არ აღმოჩნდა. მაშინ ბანდიტებმა არ მოიხერხეს ხელცარიელი წასვლა და იწყეს მგზავრების ძარცვა. ძარცვას დიდი დისციპლინით აწარმოებდნენ—მძარცველები ჩხრეკდნენ მგზავრებს, უხსნიდნენ ჯიბეებს და მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღებაც კი შეეძლოთ. გვალიას ამ ძარცვაში მონაწილეობის საქმე საქართველოს საგანგებო კომისიამ გადასცა უზენაეს სასამართლოს, სადაც რამოდენიმე თვის წინ გადაცემულია მისი ამხანაგების საქმე.

არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს გვალია იწევდა ფულს მუშაობას ზუგდიდის მაზრაში და აფხაზეთში.

პარტიული ცხოვრება

ორკვირეული კურსები პარტამხანაგებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობს ორკვირეულ კურსებს სოფლად გაწვეულ კომუნისტებისათვის, კურსებზე ამხანაგებმა უნდა შეისწავლონ შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა მშენებლობა. (სალ. 6 საათიდან) . . ამხ. ტალახაძე.
2. კოოპერაცია (სალ. 4-დან) . . . ამხ. ერქომაიშვილი
3. საგადასახადო პოლიტიკა (2-საათიდან) . ამხ. თ. ღლონტი
4. გლეხობის ურთიერთ დამხმარე კომიტეტები (2 საათიდან)
5. პარტმშენებლობა ადგილობრივ (4-დან) . . ამხ. კონტანიანი
6. აგრარული პოლიტიკა (6 დან) . . . ამხ. ჟვანია
7. კულტ.-განმ. მუშაობა სოფლად (4-დან) . . ამხ. გ. რუხაძე.

ზემოთ-აღნიშნული ამხანაგები ითვლებიან გაწვეულებათ ორშაბათიდან (17 მარტიდან). ინსტრუქციების მისაღებად უნდა გამოცხადდენ 16—მარტს.

ც. კ. საორგანიზ.-საინსტრ. განყოფილება.

ტფილისის გაზეთების რედაქტორების თათბირი

დღეს, 16 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მეორეჯერ ინიშნება „კომუნისტი"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს, „მუშის", „მიწის-მუშის", „იუნოშესკაია პრავდა"-ს, „სპარტაკ"-ის და „წითელი არმიელი"-ს რედაქტორების თათბირი. დღის წესრიგი. პრესის ახალი ამოცანები.

საქ. კომპარტიის ცეკას სააგ-საპროპაგანდო განყოფილება.

ორშაბათს, 17 მარტს, დღის 1 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება პოლიტიკური წრეების მთავარი სამმართველოს კოლეგიის და პროლეტკულტის თათბირი.

სავალდებულოა კოლეგიის ყველა წევრების დასწრება.

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

მოდიან პარტიაში

[..]ქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი გვაცნობებს, რომ ქვემოჩამოთვლილმა ამხანაგებმა რაიკომში შეიტანეს განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. იმ ამხანაგებს და პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მასალები ან საბუთები აღნიშნული ამხანაგების წინააღმდეგ, ვსთხოვთ გვაცნობონ ასეთები რაიკომში სამი დღის განმავლობაში. 1. სარქისიანი არამ, 2. თურქესტანოვა რუსუდანა, 3. [..]ფიანი ჯინტო, 4. ადამოვი კა[..], 5. მანუკოვი მუშეგ, 6. მელი[..]ნი ნაზარ, 7. არზუმანოვი ალექსი, [..]ადიროვი ვარტანგ, 9. ტერზიევი [..], 10. [illegible], 11. [..]სიანი ივანე, 12. ალახვერდოვ[..]ხან, 13. დოდომოვი გასან, 14. [..]ინოვი მირ რაგიმ, 15. კანჩიევი [..], 16. იბატ-კასუმ-ოღლი, 17. [..]ულოვი ვლადიმერ, 18. გარიბია[..], 19. ტაბატაძე ზაქარია. [..]ის ქარხანა № 1 მუშები: 20. [..]ევი არშაკ, 21. მურადოვი [..]ინი, 22. მელიქონიანი მარტი[..], 23. საფაროვ ხეჩო, 24. ელისეოვი მარტინ, 25. მკრტიჩიანი ხა[..], 26. ზაქმოვი იგანეს, 27. [..]ოვი ლევონ, 28. პეტრუსოვი ბაღდასარ, 29. პირუმოვი როს[..], 30. გამზიევი გრიგოლ, 31. აი[..]ტოვი რუბენ, 32. ჩალტიკიანი [..]ოროს, 33. პეტრუსოვი გარეგ[..], 34. აბრამიანც არამ, 35. მირ[..]ანიძე ბაგრატ, 36. ზაგინოვი [..]ავარ, 37. პეტროსიანი სარქის. [..]ის ქარხნის № 3 მუშები 38. [..]რაშვილი ივანე, 39. მოროზოვ[..]ასილ, 40. ხაჩატუროვი კარაპეტ, [..] პეტროსოვი არშაკ, 42. ნერსე[..] სეტრაკ. რკინისგზელები 43. [..]ახაშვილი ალექსი, 44. შუმაკოვი [..]ილ, 45. ცარციძე გედეონ, 46. [..]ავა ივანე, 47. მირუაშვილი ვა[..], 48. ლეონიაშვილი ალექსი, 49. [..]იანი სატენიკ—სასურსათო სა[..]ო კომისარიატის ფაბრიკის მუშა, 50. ნაზაროვი არტემ—მუშა [..]ქალი, 51. ვარტანაროვი ტორ[..]—ტყავის ტრესტის მუშა, 52. [..]აჯიანი ვაიმ—სასურსათო სა[..]ო კომისარიატის ფაბრიკის [..]არო, 53. მახარაძე აბელ—ნავთ[..]ის ხაზის მუშა, 54. გუკასოვი [..]ო—ნავთლუღის ხაზის მუშა, 55. ბაგდანოვი ივანე—ქალაქის სავადმყოფოს მუშა, 56. იუზბაშ ივანე—ქალაქის სავადმყოფოს მუშა, 57. ადამია რაფიელ—ქალაქის სავადმყოფოს მუშა, 58. არუთინოვი არშაკ—ტყავის ტრესტის მუშა, 59. პეტროსიანი დერენიკ—თამბაქოს ფაბრიკა „კავკაზ"-ის მუშა, 60. კაკიაშვილი გარეგინ—ქალაქის აბანოს მემანქანე, 61. პოპუკიანცი ისაკ—ქალაქის სავადმყოფოს მუშა, 62. არუთინიანი სედრაკ—სასურსათო საბაზისო საწყობის მტვირთავი, 63. პეტროსიანი მკრტიჩ—მტვირთავი, 64. ხოჯა მარმაროვი მელიქ—ტყავის ტრესტის მუშა, 65. პეტროსიანი მოსე—მტვირთავი, 66. ჩუტანტი—ივანტო—ინგუსი—მუშა ჩინელი, 67. შაბანოვი ალი—გაზ. „ენიფიკირ"-ის ასოთ-ამწყობი, 68. ალიევი მუსლუმ—გაზ. „ენიფიკირ"-ის ასოთ-ამწყობი, 69. გუსეინოვი რაშიდ—გაზ. „ენიფიკირ"-ის ასოთ-ამწყობი, 70. გატაუმ გალიუმ—გაზ. „ენიფიკირ"-ის ასოთ-ამწყობი, 71. გასან-ზადე-კასუმ გაზ. „ენიფიკირ"-ის ასოთ-ამწყობი, 72. ტერ-კარაპეტიანი სარქის-მტვირთავი, 73. სირაძე ვარდენ-ქალაქის წისქვილის მუშა, 74. პლეტკინა მარია ქალაქის სასაკლაოს მუშა ქალი, 75. ხურცილავა იასონ-რკინისგზელი, 76. მუსტაფაიანი კარაპეტ-მუშა-კომკავშირის წევრი, 77. საკიანი უნან—მტვირთავი, 78. ასლანიანი ტიგრანუი-მატყლის საწყობის მუშა, 79. დურგარიანი ტიგრან—მაკარონის ფაბრიკის მუშა, 80. ოგანეზოვი ხაჩატურ—ტყავის ტრესტის მუშა, 81. კოლიანსკაია ევგენია—ტყავის ტრესტის მუშა ქალი, 82. მირზა ოღლი იბრაგიმ—მუშა, 83. არჩვაძე ვალერიან—ქალაქის სავადმყოფოს მემანქანე, 84. კიკნაძე ნიკოლოზ—ქალაქის სავადმყოფოს კოჩეგარი, 85. სტეშკო ივანე—„უეს"-ის მუშა, 86. ტოლეტოვი სერგო-სამხედრო წისქვილის მუშა, 87. ატაბეკოვი არტემ—ტყავის ტრესტის მუშა, 88. აკოპოვი ავეტის-მუშა-კომკავშირის წევრი, 89. აკოპოვი არტაშეს თამბაქოს ფაბრიკა „კავკაზ"-ის მუშა, 90. რიმკუსი პეტრე-სამხედრო წისქვილის მუშა-კომკავშირის წევრი, 91. ავეტისიანი აკოპ—ტყავის ტრესტის მუშა, 92. წამალაშვილი ვლადიმერ სამხედრო წისქვილის მუშა, 93. აკოპოვი—მუშა-კომკავშირის წევრი.

მდივანი ვართაპეტიანი.

ქარელის რაიონი (გორის მაზრა)

[..]არელის რაიონში არსებობს სულ [..] კომუჯრედი: ქარელის, რომელშიც [..]ითვლება 9 წევრი და 1 კანდიდატი, საწერისის კომუჯრედის წევრთა რიცხვი უდრის 5 ამხ., კეხვის [..]ის კომუჯრედში 17 ამხანაგი, ორთუბნის კომუჯრედში 4 ამხანაგი. უჯრედებში კრებები იმართება ორჯერ, იკითხება და ირჩევა სხვადასხვა ბროშიურები და [..] გაზეთები. წერა-კითხვის [..]ოდნარობა პარტამხანაგთა შორის მოსპობილია.

[..]პარტიო მშრომელი გლეხობის [..]ოკიდებულება პარტამხანაგებისადმი ძლიერ კარგია. შემოდის განცხადებები, დროებით შეჩერებულია [..] მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ [..]თესო უჯრედათ რაიონში ითვლება სამწერისის № 2 კომუჯრედი, რომლის კრებებს წევრები [..]იბიან უკლებლივ, არჩევენ ადგილობრივ სასოფლო საკითხებს და [..]ევე საერთო პოლიტიკურ საკითხებს.

[..]ის წინედ გამართულ იქნა დია [..], სადაც იყო დასმული საკითხი [..]ავის შესახებ. წევრებმა უპარტიო მშრომელი გლეხობასთან ერთად დაადგინეს: რომ ეკლესია იქმნეს გადაკეთებული კლუბათ, რაიც ორი კვირის განმავლობაში იქმნა სისრულეში მოყვანილი.

23 თებერვალს ამ ახლად დაარსებულ კლუბში ადგილობრივი ძალებით გამართულ იქნა უფასო წარმოდგენა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

ს. სამწერისში კეთდება ახალი სკოლა რომელიც მალე იქნება დამთავრებული. დიდი ყურადღება ექცევა გზების და ხიდების შეკეთებას. აღსანიშნავია ს. ორთუბნის № 4 კომუჯრედი, რომლის ინიციატივით გლეხობამ გამოიტანა დადგენილება, რათა ერთხელ და სამუდამოთ იქნას მოსპობილი „ურადობა" რასაც დიდი ზარალი მოაქვს ოსის მშრომელი გლეხობისათვის. დადგენილება კიდეც ტარდება ცხოვრებაში. ქარელის რაიონში დღემდის ჰქონდა კოლექტიურათ გამოწერილი გაზეთი „კომუნისტი" მხოლოდ სამ. კომუჯრედს. ს. კეხვ-ჯვარის № 3 კომუჯრედმა ვერ შესძლო გაზეთის გამოწერა, ვინაიდან ეს სოფელი ძალიან ღარიბია 21 თებერვალს გორის სამაზრო კომიტეტიდან ჩამოვიდა ინსტრუქტორი ამხ. თალაკვაძე, რომელსაც მოუხდა უჯრედში როგორც კრებების ჩატარება, ისე მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა. ამხ. თალაკვაძემ დაინახა, რომ კეხისჯვრის № 3 კომუჯრედს არ აქვს გამოწერილი გაზეთი, მან თავის თავზე აიღო ინიციატივა. და იმავე დღესვე გამოუწერა გაზეთი „კომუნისტი", აგრეთვე შეჰპირდა უჯრედის წევრებს სხვადასხვა ბროშიურებსაც.

ვ. გოგია.

ეკონომიური ცხოვრება

სავალუტო კურსი ტფილისში

(16—17 მარტი)

ჩერვონცები	— —	9 800 მილ.
ინგლ. სტერლინგ. ფუნტი		8.428 „
„ ჩეკები	—	8 184 „
დოლარი ფულ.	—	1920 „
„ ჩეკები	—	1880 „
ოსმ. ქაღ. ლირა	—	1120 „
იტალიური ლირა	—	88 „
ფრანგული ფრანკი	—	83 ნაზ.

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(16 მარტი)

ოქროს მანეთი 9.800.000

საბირჟო ფასები.

(16 მარტი)

პური 1 ხარისხ.—81.000 ათასი. პური 2 ხარ.—63,000 ათასი, ძროხის ხორცი—335,000 ათასი, ღორის ხორცი 315,000 ათ. შაქარი რაფინადი 360.000 ათ., ფხვნილი შაქარი—261,000 ათ., კარტოფილი—35,000

ტფილისის ბაზრის ფასები.

(16 მარტი)

პური 1 ხ.—105000 ათ., პური 2 ხარ.—75000, ძროხის ხორცი 420.000 ათ., ღორის ხორცი 360.000 ათ., შაქარი რაფინ. 380.000 ათ., შაქარი ფხვნილი 280,000 ათ., კარტოფილი 50000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მარსელის კრამიტი, აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მზესუმზირას ზეთი რუს (2 ცისტერნი), მარტენის მავთული, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები (15,000 კინა), სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „კოქსინდიკატი"-ს პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, კვებრახის ექსტრაქტი, რუსმანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები რუს, ფანჯრის მინა, კაუსტიკურის სოდა რუს., ასანთი. რუს., სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი 1 ხარ. „პეტუხ", ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მატყლი გარეცხილი, პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო", თხილი, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთი ქაღალდი, საპონი „დოკატ", ძირტკბილა, იტალიური გოგირდი, ინგლის სამუშაო ფეხსაცმელები, კაჩაქი ტვინ და მლაში.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ"), ტექნიკური ცხიმი, „კოქსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სელის ზეთი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ, ასანთი რუს, ქვა-მარილი ნახიჩევანის, გოგირდი (ფხვნილი), თხილი, კვებრახის ექსტრაქტი „კორონა", ტყავის ღვედები.

შაქარი ფხვნილი—10 მ. 60 კ. ფ, ფრანკო-სახაროტრესტ"-ის საწყობი.

ფქვილი (ქურის) ყუბანის—3 მ. 40 კ. ფ., ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ტყავეულობა—1434 მ. 87 კ. თანხისა, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

პორტლანდის ცემენტი—8 მ. 75 კაპ. ბოჭკაში, ფრანკო-ბათომი ვაგონი.

ფეხსაცმელები სამხედრო—7 მ. წყვილი; ტყავი „ხრომ"-ი—1 მ. 20 კაპ. ფუსი (ფუს) და ძირები—1 მან. 60 კ. გირვანქა, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება. საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(16 და 17 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.—	9.800.000	56 ჩ.—	548.800.000
2 ჩ.—	19.600.000	57 ჩ.—	558.600.000
3 ჩ.—	29.400.000	58 ჩ.—	568.400.000
4 ჩ.—	39.200.000	59 ჩ.—	578.200.000
5 ჩ.—	49.000.000	60 ჩ.—	588.000.000
6 ჩ.—	58.800.000	61 ჩ.—	597.800.000
7 ჩ.—	68.600.000	62 ჩ.—	607.600.000
8 ჩ.—	78.400.000	63 ჩ.—	617.400.000
9 ჩ.—	88.200.000	64 ჩ.—	627.200.000
10 ჩ.—	98.000.000	65 ჩ.—	637.000.000
11 ჩ.—	107.800.000	66 ჩ.—	646.800.000
12 ჩ.—	117.600.000	67 ჩ.—	656.600.000
13 ჩ.—	127.400.000	68 ჩ.—	666.400.000
14 ჩ.—	137.200.000	69 ჩ.—	676.200.000
15 ჩ.—	147.000.000	70 ჩ.—	686.000.000
16 ჩ.—	156.800.000	71 ჩ.—	695.800.000
17 ჩ.—	166.600.000	72 ჩ.—	705.600.000
18 ჩ.—	176.400.000	73 ჩ.—	715.400.000
19 ჩ.—	186.200.000	74 ჩ.—	725.200.000
20 ჩ.—	196.000.000	75 ჩ.—	735.000.000
21 ჩ.—	205.800.000	76 ჩ.—	744.800.000
22 ჩ.—	215.600.000	77 ჩ.—	754.600.000
23 ჩ.—	225.400.000	78 ჩ.—	764.400.000
24 ჩ.—	235.200.000	79 ჩ.—	774.200.000
25 ჩ.—	245.000.000	80 ჩ.—	784.000.000
26 ჩ.—	254.800.000	81 ჩ.—	793.800.000
27 ჩ.—	264.600.000	82 ჩ.—	803.600.000
28 ჩ.—	274.400.000	83 ჩ.—	813.400.000
29 ჩ.—	284.200.000	84 ჩ.—	823.200.000
30 ჩ.—	294.000.000	85 ჩ.—	833.000.000
31 ჩ.—	303.800.000	86 ჩ.—	842.800.000
32 ჩ.—	313.600.000	87 ჩ.—	852.600.000
33 ჩ.—	323.400.000	88 ჩ.—	862.400.000
34 ჩ.—	333.200.000	89 ჩ.—	872.200.000
35 ჩ.—	343.000.000	90 ჩ.—	882.000.000
36 ჩ.—	352.800.000	91 ჩ.—	891.800.000
37 ჩ.—	362.600.000	92 ჩ.—	901.600.000
38 ჩ.—	372.400.000	93 ჩ.—	911.400.000
39 ჩ.—	382.200.000	94 ჩ.—	921.200.000
40 ჩ.—	392.000.000	95 ჩ.—	931.000.000
41 ჩ.—	401.800.000	96 ჩ.—	940.800.000
42 ჩ.—	411.600.000	97 ჩ.—	950.600.000
43 ჩ.—	421.400.000	98 ჩ.—	960.400.000
44 ჩ.—	431.200.000	99 ჩ.—	970.200.000
45 ჩ.—	441.000.000	1 ა.—	980.000.000
46 ჩ.—	450.800.000	2 ა.—	1.960.000.000
47 ჩ.—	460.600.000	3 ა.—	2.940.000.000
48 ჩ.—	470.400.000	4 ა.—	3.920.000.000
49 ჩ.—	480.200.000	5 ა.—	4 900.000.000
50 ჩ.—	490.000.000	6 ა.—	5.880.000.000
51 ჩ.—	499.800.000	7 ა.—	6.860.000.000
52 ჩ.—	509.600.000	8 ა.—	7.840.000.000
53 ჩ.—	519.400.000	9 ა.—	8.820.000.000
54 ჩ.—	529.200.000	1 ათ.	9 800.000.000
55 ჩ.—	539.000.000		

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი გამარჯვება ეკონომიურ ფრონტზე

(შორაპნის ახალი ხიდის გახსნისათვის)

დღეს, 16 მარტს, გაიხსნება რკინის გზით მიმოსვლა შორაპანში ახლად აგებულ ხიდზე.

შესრულებული სამუშაო — ახალი ფერმების გადება—არის თავის სიდიდით და ხასიათით ერთად-ერთი და, როგორც სჩანს, პირველი საბჭოთა ფედერაციაში. ამიტომ შესრულებული სამუშაო წარმოადგენს ინტერესს არა სპეციალისტებისათვისაც.

მაგრამ ვიდრე დავახასიათებდეთ ამ მუშაობას, აღვნიშნავთ, რად აღმოჩნდა გამოუსადეგარი შორაპნის ძველი ხიდი.

მისი ისტორია დამახასიათებელია ამიერ-კავკასიის რკინის გზების სხვა დანარჩენ ხიდების უმრავლესობისათვის, რომელთა ხელახალი აშენება არის ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის მორიგი ამოცანა.

შორაპნის ძველი ხიდი აშენებული იყო 50 წლის წინად (70-იან წლებში) ინგლისელ რკინის გზების აღმშენებელთა მიერ, რომელთაც გაიყვანეს მაშინ ტფილის-ფოთის ხაზი.

მიუხედავად თავისი ძველი კონსტრუქციისა, ხიდმა დაუზიანებლად გაძლო ამ ხნის განმავლობაში.

მაგრამ, რაც ხანი გადიოდა, ხიდის კონსტრუქციის სიმტკიცე მცირდებოდა. მდინარე ყვირილა განუწყვეტლივ იღრმავებდა კალაპოტს. მდინარეების ძალა ამავე დროს ყოველი წლობით მცირდებოდა, რადგან ის მიდამო, რომელიც წინად შედიდარი ტყეებით იყო დაფარული, ტყეების განადგურების შემდეგ, გაშიშვლდა. მდინარის კალაპოტის გაღრმავების გამო ჯებირები თანდათან გამოჩნდნენ, და ძლიერ წყალდიდობის დროს 1922 წ. სექტემბერში, ხიდის ერთ-ერთი ჯებირი გარეცხილ იქნა ადიდებულ მდინარის მიერ.

ხიდის რკინის ფერმები არ ჩანგრეულან, მაგრამ ჩამოკიდებული დარჩნენ ჰაერში, მათ აჩაგრებდა რელსები და რკინის საფარველი.

ამიტომ შესაძლებელი გახდა მოძრაობის ჩქარა აღდგენა, დროებითი ჯებირების ჩადგმის შემდეგ.

ხიდის დაძველებამ სხვა მხრივაც იჩინა თავი. ხიდის აშენების შემდეგ გასულ 50 წლის განმავლობაში ორთქლმავლების და ვაგონების წონა თანდათან მატულობდა და ზედმეტი აღმოჩნდა იმ გამძლეობაზე, რომელიც ჰქონდა ხიდის ფერმებს. ამიტომ ფერმების მასალა ზედმეტად დატვირთული აღმოჩნდა. აგრეთვე ზედმეტად დატვირთვამ, რომელიც დასაშვებია მოკლე დროის განმავლობაში, გავლენა მოახდინა ხიდის სტრუქტურაზე და „დაამაბუნა" იგი.

ყველა ამ გარემოებების მიხედვით საჭირო შეიქნა ძველი ხიდის დაუყოვნებლივ შეცვლა ახალი ხიდით.

ეკონომიის მიზნით გზათა სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოყენებული ყოფილიყო კავკავის გზის ერთ-ერთ დანგრეულ ხაზზე მდებარე რკინის ფერმა, მაგრამ ამ ფერმის მოხსნა, წყალიდან ამოღება და სადგ. შორაპანში მიტანა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა; მიუხედავად ამისა მუშაობის მთელი გეგმა შესრულებული იქნა: თებერვლის დამლევს სადგ. შორაპანთან უკვე იდგა აწყობილი ახალი ფერმა. მთავარი საქმე იყო აწყობილ ფერმის გადება ახალ ქვის ჯებირებზე.

ეს ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილია მთელი დაწყებული მუშაობისა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ფერმის (18,600 ფუთ. წონით) ჯერ ძველ ხიდზე მიტანა, (გასწვრივი დადგმა), ხოლო შემდეგ—გვერდით გადატანა ახალ ქვის ჯებირებზე (გარდიგარდმო დადგმა).

მთელი ეს მძიმე, ძნელი და საპასუხისმგებლო მუშაობა სასურველად იქნა დაგვირგვინებული და დამტკიცდა, რომ ჩვენი მუშათა ძალები და რკინის გზის სპეცები თავიანთ ამოცანის სიმაღლეზე დგანან.

ამგვარად ამიერ-კავკასიის რკინის გზებს აქვთ დღეს საკმაო გამოცდილება იმისათვის, რათა დაძველებული ხიდები შესცვალონ ახალით, თითქმის მოძრაობის შეუწყვეტლად.

Z.

კათალიკოს ამბროსის და მისი „საბჭოს" გასამართლება

14 მარტის სხდომა.

(მეხუთე დღე)

მოწმე კაკაბაძის დაკითხვა

სხდომა იწყება საღამოს 6 საათზე. ჩვენების ჩამოსართმევათ გამოჰყავთ მოწმე კაკაბაძე.

კაკაბაძე ამბობს, რომ ის იყო იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც საკათალიკოსო საბჭოსაგან საკრებულო ტაძარი უნდა გადაებარებია. კომისიაში შედიოდენ ორი მთავრობის წარმომადგენელი, ორიც ახალგაზრდათა კომკავშირიდან და ორიც უნდა ყოფილიყო საკათალიკოსო საბჭოდან.

ტაძრის ჩაბარება უნდა დაწყებულიყო 1923 წლის 10 იანვარს, მაგრამ საბჭომ თავისი წარმომადგენელი არ წარმოგზავნა. დეკანოზ თოთიბაძის დასწრება, როგორც ამ ტაძრის წინამძღვარის და გამგის აუცილებელი იყო. ჩვენ ორჯერ შევატყობინეთ მას, მაგრამ არ გამოცხადდა. მესამედ შეტყობინების შემდეგ, დეკანოზ თოთიბაძემ ინება მობრძანება. ტაძრის ჩაბარების შესახებ მან განაცხადა, რომ საკათალიკოსო საბჭოს დადგენილების თანახმად და პრინციპიალური მოსაზრებით) საკუთარი რელიგიურ რწმენით) ტაძრის გადაბარება არ შეუძლია. და თან გაძლევდა ტაძრის გასაღებს, რომელიც მე არ მივიღე, მე ნაბრძანები მქონდა, რომ თუ თოთიბაძე ურჩობას გამოიწვევდა, დამეპატიმრებია, როცა მე განვუცხადე თოთიბაძეს, ურჩობისათვის დაგიჭერთ და წაგიყვანთ საგანგებო კომისიაში-თქო, მიპასუხა, რომ იგი დამორჩილდება მხოლოდ ძალას. მე ვაცნობე ეს კომისრის მოადგილეს, რომელმაც გასცა განკარგულება დაეპატიმრებიათ მღვდელი თოთიბაძე.

მთავრობის წინადადებით შესდგა ჩემივე თავმჯდომარეობით ახალი კომისია, რომელიც 20 იანვარს შეუდგა ტაძრის ჩაბარებას, აღწერას. ჩაბარების დროს ჩვენ ვისწრებდით დაპატიმრებულ თოთიბაძეს. აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ბევრი ნივთი ჩაუწერელი იყო და ბევრი ჩაწერილი ნივთი აკლდა.

ასეთსავე გარემოებას ჰქონდა ადგილი სხვა ეკლესიების ნივთების აღწერის დროს.

კითხვა: რა მოჰყავდა თოთიბაძეს და სხვა ეკლესიების წინამძღვრებს იმის მიზეზად, რომ წიგნებში ყველაფერი რიგზე არ იყო?

პასუხი: თოთიბაძე და სხვა მღვდლებიც აცხადებდენ, რომ ნივთების ჩაწერა ხან გვავიწყდებოდა, ხან ვერ ვიცლიდით, და ხან შემოწირულ ნივთებს ვერ ვაჩნევდით, რადგან შემომწირველნი ჩვენთვის დაუკითხავად სტოვებდენ ეკლესიებში ნივთებსო.

კითხვა: სხვა ეკლესიების ნივთების აღწერის დროს მღვდლები ღებულობდენ აღწერაში მონაწილეობას? და თუ ღებულობდენ სთვლიდენ თუ არა ამ გარემოებას სინიდისის თავისუფლების შელახვად?

პასუხი: ღებულობდენ და არ სთვლიდენ მას თავის რწმენისა და სინიდისის თავისუფლების შეურაცყოფად.

კითხვა: თქვენ მღვდლების მონაწილეობით, ხსნიდით თუ არა ხატებს კედლებიდან?

პასუხი: არა, არ ვხსნიდით. ჩვენ ვახდენდით მხოლოდ აღწერას.

ამხ. ტალახაძის ჩვენება.

ბრალმდებელი ამხ. ნ. ოკუჯავა მოითხოვს საქმის გამოსარკვევად დაკითხული იქნეს ამხ. ტალახაძე,—შ. ს. კომისრის მოადგილე. ოკუჯავას წინადადება მიღებულ იქნა.

ამხ. ტალახაძე ადასტურებს, რომ ბრძანება მღვდელ თოთიბაძის დაპატიმრების შესახებ, თუ იგი არ დამორჩილდებოდა მთავრობის განკარგულებას, გასცა მან. მისივე მოწმობით საჭირო შეიქნა საპირო ეცნობებით მღვ. თოთიბაძისათვის, რომ იგი გამოცხადებულიყო კომისარიატში.

მოწმე გრიგოლ სიდამონიძე

მსახურებდა მწერლათ კათალიკოსის საბჭოს სამეურნეო განყოფილებაში.

სასამართლოს სურს გამოარკვიოს ამ მოწმის საშუალებით საბჭოს კანცელარიის კარების გატეხის საქმე, რომელიც მოხდა კათალიკოს ამბროსის შინაური პატიმრობის დროს.

მოწმეს მოულოდნელად ერთ დილას უნახავს კანცელარიის კარები გამოხერხილი, რაც უცნობებია როგორც კათალიკოსისათვის, ისე ხელისუფლებისათვის. საქმეზე დაუყოვნებლივ დაიწყო სასტიკი ძიება, მაგრამ ბოროტმოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

ბრალმდებელი მაჭავარიანი. რა საჭირო იყო კანცელარიის გატეხა, ან ვინ ჩაიდინდა მან?

პასუხი: ვერ მივხდი... დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. შემდეგ ამატებს: შეიძლება კათალიკოსის მოკვლა უნდოდათ: კერძო ქურდის საქმე არ უნდაიყოს.

ოკუჯავა: შეიძლებოდა თუ არა ამ გზით წიგნების წაღება კანცელარიიდან?

მოწმე: შეიძლებოდა, თუ კი შევიდოდა—გამოიტანდა.

წიწინაძის შეკითხვაზე—ჰყავდა თუ არა კათალიკოსს საშიში მტრები, რომლებიც განიზრახავდენ მის მოკვლას. მოწმე უპასუხებს, რომ არა.

საგანგებო კომისიას ადგილზე მოსვლისთანავე საკანცელარიო წიგნების და ქაღალდების ძებნა დაუწყია, მოწმეს კი არ სცოდნია იყო თუ არა მნიშვნელოვანი საბუთები კანცელარიაში, რადგანაც მისი სიტყვით მას საკათალიკოსო საბჭოსთან დამოკიდებულება არ ჰქონია. შეიძლება ასეთი საბუთები მართლა იყო იქ.

მღვდელი ზუბალაძე

განძეულებათა გადამალვის შესახებ მოწმეს შეუტყვია მხოლოდ 1922 წ 19 მაისში გაზეთებიდან. მისი აზრით თუ ვინმემ იცოდა ამ ნივთების შესახებ უნდა შეეტყობინებია მთავრობისათვის. კათალიკოს კირიონის სიკვდილის შესახებ მოწმის ჩვენებით სამი ვერსია არსებობდა. იყო ხმები, რომლებიც კირიონის მოკვლას ლეონიდის საქმეთ სთვლიდენ, ზოგი ამტკიცებდა რომ კირიონმა თვითმკვლელობა ჩაიდინა, ზოგი ბუნებრივ სიკვდილსაც ასახელებდა.

მოწმის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძრის აღსადგენათ გადადებული ქონება მოლარეს არდაზიანს მიუთვისებია.

კირილე ნინიძე აძლევს მოწმეს გაუთავებელ და უადგილო შეკითხვებს „ცოცხალი ეკლესიის" შესახებ, საგანგებო კომისიის მუშაობაზე, იქაურ პირობებზე, თუ რომელ ენაზე სწარმოებს გამოძიება და სხვა, რაც იწვევს ბრალმდებელ ოკუჯავას პროტესტს.

ოკუჯავა. დამცველი ნინიძე აგრძელებს თავის ობსტრუქციას, თუ მას ჩეკას ცხოვრება აინტერესებს შეუძლია იქ მიბრძანდეს და გაეცნოს მას, თორემ მისი შეკითხვები სრულებით უადგილოა და საქმესთან დამოკიდებულება სრულებით არ აქვს. ის სასამართლოში სცდილობს ჩვენთან პარტიულ ანგარიშების გასწორებას.

ნინიძე აცხადებს, რომ ის ჩეკაში უკვე იჯდა და მისი კითხვები ვითომ საქმის გამორკვევისთვის არის საჭირო.

მოწმე პროფ. კეკელიძის ჩვენება.

პროფ. კეკელიძის ჩვენებას ქონდა საექსპერტო ხასიათი. დამცველები სცდილობდენ გამოეყენებიათ კეკელიძის ისტორიული ცნობები რელიგიურ საკითხებში ამბროსის მოქმედების და საეკლესიო ქონების გადამალვის გასამართლებლად.

ბრალმდებელი: საბჭოთა ხელისუფლების მიუმართავად და გაუცნობლად, ეკლესიის მღვდელ-მთავრის მიერ დასაშვებია თუ არა მემორანდუმის გაგზავნა უცხო სახელმწიფოების პოლიტიკურ მოღვაწეთა კონფერენციაზე?

პასუხი: მოწმე პროფ. კეკელიძე ამ კითხვაზე არ უპასუხებს პირდაპირ და სცდილობს ისტორიული პრეცენდენტებით გაამართლოს ამბროსის მოქმედება, მაგრამ ბრალმდებელის კატეგორიული კითხვაზე, იგი აცხადებს, რომ დღევანდელ პირობებში უცხო სახელმწიფოებისადმი უშუალოდ და მთავრობის გაუცნობლად მიმართვა არ არის დასაშვები.

კითხვა: როდის დაიწყო უნივერსიტეტის აღორძინების ხანა და რა მდგომარეობაში იმყოფება უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების დროს?

პასუხი: უნივერსიტეტის საქმე კარგად მიდის, ხელისუფლება სათანადო ყურადღებით ექცევა მას, საერთოდ სწავლა-განათლების საქმე კარგად არის დაყენებული. მე ვიცნობ კარგათ მხოლოდ მთავრობის მოქმედებას სასულიერო განათლების სფეროში და უნდა გულახდილად ვსთქვა, რომ ამ მხრივ ეროვნული ხაზი სწორედ არის აღებული.

ბრალმდებელი: თავის მემორანდუმში კათალიკოზი ამბროსი ამბობს, რომ „საბჭოთა ხელისუფლება აუცილებლად მიიყვანს ქართველ ერს ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გახრწნის და გაველურების გზაზე", რას იტყვით, თქვენ, საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობა ამართლებს თუ არა ამბროსის შეხედულებას?

კეკელიძე: მე არა მაქვს ფაქტები, იმის დასამტკიცებლად, რომ ამბროსის შეხედულება მართალია.

კითხვა: ვისი ცდით და ინიციატივით მოხდა რუსეთიდან 117 წლ. ტყვეობაში მყოფ ისტორიულ განძეულობის დაბრუნება?

პასუხი: განძეულობის ჩამოტანა მოხდა არსებული ხელისუფლების მეცადინეობით.

მოწმე ციცქიშვილი (კათალიკოსის მოადგილე)

მემორანდუმის პოლიტიკურ ხასიათს ვერ უარყოფს. მისი აზრით სახელმწიფოს კანონებს ეკლესია და სამღვდელოება უნდა ემორჩილებოდეს.

ბრალდებულ მიტროპოლიტი ნაზარი ეკითხება, ნუ თუ სამღვდელოება ეკლესიის საწინააღმდეგო კანონებსაც უნდა ემორჩილებოდეს და არ შეებრძოლოს მას?

ციცქიშვილის აზრით ასეთი კანონები საქართველოში არ არსებობს, თუმცა მისივე აზრით მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ სამღვდელოება და ეკლესია რამოდენიმეთ შევიწროვებულია.

მოწმე დეკანოზ ქავთარაძე.

მხარეების შეკითხვაზე მოწმე იბნევა, რის გამო ბრალმდებელი ოკუჯავა მოითხოვს წაკითხულ იქნეს ოქმები, საიდანაც სხვათა შორის ირკვევა მოწმის დამოკიდებულება სოხუმის ყოფილ ეპისკოპოს არსენისადმი, რომელიც რუსიფიკატორად ითვლებოდა, აგრეთვე მისი კავშირი ჟანდარმერიასთან.

მოწმე კონტრიძის დაკითხვის შემდეგ სასამართლოს სხდომა გადაიდო 15 მარტისათვის.

ზიზღი „უწმინდესი კონტრ-რევოლუციის" დამცველთ

(ნავთლუღის რკინისგზის მუშათა რეზოლუცია).

გაიგო რა ნავთლუღის რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, რომ რამოდენიმე დღეა, რაც კათალიკოს ამბროსის და მისთა გასამართლება სწარმოებს, რომელშიაც შავი სამღვდელოების აქტიურ დამცველებათ გამოდიან სოციალისტების ქურქში გახვეული—ყოფილი მენშევიკი კირილე ნინიძე და ძმანი მისნი, თავადი ზარიაშვილი და სხვ.

საერთო კრება მოითხოვს უზენაეს სასამართლოსაგან, რათა მან კონტრ-რევოლუციის დამცველთაც მოსთხოვოს სათანადო პასუხი.

ძირს მოღალატური და კონტრ-რევოლუციის დამცველი მენშევიკური პარტია და მათი აგენტები კირილე ნინიძის სახით, რომლებიც გამოდიან უწმინდესი კონტრ-რევოლუციის დამცველად. ამით მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს და ნათელ ჰყვეს თავისი მოღალატეობა მუშათა კლასისადმი.

ძირს და სიკვდილი მამა ამბროსის და მის თანამშრომელთ—„სულიერ მამებს", მატყუარა, მყვლეფელებს და ევროპის კაპიტალისტების ლაქიებს! ძირს მათი დამცველები.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას! გაუმარჯოს კომპარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მუშურ-გლეხურ სამართალს, რომელიც ღირსეულად დასჯის „სულის მამებს", და მისცემს ისეთ სასჯელს, როგორიც კონტრ-რევოლუციონერებს.

ამ რეზოლუციის წარსადგენად უზენაეს სასამართლოში კრების მიერ არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ქართველიშვილი ივანე, 2) ჯანიბაშვილი ნინა, 3) კაპანაძე ნინა, 4) ვაზაგაძე ვალერიან, 5) ომაროვი ზაზმი, 6) მეტეხელი, 7) ვაჭარაძე ნიკოლოზ, 8) ჰევჯანიძე, 9) გრიგოლია ნიკო, 10) ჯანიბაშვილი ივანე.

ქრონიკა

— **შორაპნის ხიდის გახსნა.** დღეს, 16 მარტს, მოხდება შორაპნის ხიდის გახსნა. რკინისგზის სამმართველოს მიერ გახსნაზე მიწვეულია მთავრობის, სახელმწიფო, საზოგადო და პრესის წარმომადგენლები.

— **ფრენა.** პარიზის კომუნის დღეს, 18 მარტს, ა | კ. საავიაციო საზოგადოება აწყობს ფასით სადემონსტრაციო ფრენას ჰაეროპლანით „იუნკერსი" ქალაქის თავზე, რის გამო დღეს, 16 მარტს ფრენა არ მოხდება.

— **ავიაციის კურსები.** ტფილისში 20 მარტს გაიხსნება ორთვიანი საავიაციო კურსები. კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები ავიაციის ისტორიიდან და ლექციები ჰაეროპლანის შემადგენელ ნაწილებზე და ჰაეროპლანის მნიშვნელობაზე საერთოდ.

— **სულით ავადმყოფთა ბავშვების სავადმყოფო.** ფსიხო-ნევროლოგების თათბირმა დაადგინა ტფილისში გახსნას სავადმყოფო სულით ავადმყოფ ბავშვებისათვის.

— **აფთიაქის მოწაფეთა დაზღვევა.** დამზღ. კასამ დაადგინა აფთიაქების მოწაფეთა დაზღვევა აწარმოოს საერთო წესით.

— **ხმა მაღლა მოლაპარაკე აპარატები.** ქ. აღმასკომმა ამხ. იტრიევს დაავალა მოაწყოს ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატები, აღმასკომის პლენუმების ანგარიშების გარეთ გადასაცემით.

— **აქციზის შემცირება ღვინოზე.** ა | კ. რესპუბლიკათა მიწათ-მოქმედების კომისარიატმა შუამდგომლობით მიმართეს ა | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს ამიერ-კავკასიიდან გასატან ღვინოზე აქციზის შემცირების შესახებ.

— **ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებლად.** ა | კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა ა | კ. ფინსახკომს გაიღოს თანხა ა | კ. რესპუბლიკის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფონდის დაარსებლად.

— **შრომის ბირჟა.** 14 მარტს შრომის ბირჟაში გამოცხადდა—135 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—88, მოთხოვნილება იყო—41. სამუშაოზე—გაიგზავნა—38.

— **ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოებაში.** ორშაბათს 17 მარტს საღამოს 6 საათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში შესდგება უდინთა დამხმარე საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა.

— **სტატისტიკური კრებული.** დაიბეჭდა და იყიდება საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამოცემა „საბაზრო ფასების მოძრაობა საქართველოს ს. ს. რ. ქალაქებში 1912—23 წ".

— **სანიტარულ განათლების საბჭოს** სხდომა შესდგება 20 ამა მარტს, საღ. 8 საათზე ჯანმრთელობის კომისარიატში.

რკინიგზაზე.

— **ძლიერი ქარი.** 13 მარტს, დილის 5 საათზე, სადგურ სუფსიდან ძლიერმა ქარმა გაიტაცა ვაგონი, რომელიც გზაში დაეტაკა ჯუმათიდან მომავალ მატარებელს. ვაგონი და პარაოზი დაზიანდა. უბედური შემთხვევა არ ყოფილა.

— **ახალი ავტომატიური კარსაკეტავები.** ახლო ხანში ა | კ. რკინის გზებზე შემოღებული იქნება ახალი კარსაკეტავები, რომელიც გარედან არ გაიღება.

— **სალიანდაგო ნაწილის უბნის უფროსების ყრილობა.** 26 მარტს დანიშნულია ა | კ. რკინისგზების სალიანდაგო ნაწილების უბნის უფროსების ყრილობა.

— **მკვლევართა ბიურო.** ტრანსპორტის ინჟინერ-ტექნიკოსთა საბჭოსთან დაარსდა მკვლევართა ბიურო.

შემთხვევები.

— **ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის საწყობის გაქურდვა.** 13 მარტს გაქურდეს ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის საწყობი ბამბის შესახვევი № 1. წაიღეს 100 ჩერვონცის საქონელი. ქურდები არუთინოვი, გრიგორიევი და პაპიევი შეიპყრეს.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 13 მარტს შეიპყრეს ჯიბგირი აირაპეტოვი, რომელმაც ამავე დღეს მოქ. ფინის ჯიბიდან ამოაცალა საფულე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ქალბატონი ბატერფლეი.

პუჩინის ეს ნაწარმოები უფრო ადრე ჩაითვლება დრამათ, ვინაიდან ოპერის შინაარს წარმოადგენს შემაძრწუნებელი ეპიზოდი ახალგაზრდა იაპონელი მოცეკვავე ქალის (გეიშა) ცხოვრებიდან.

დიდი გულწრფელობით და დახელოვნებით პუჩინმა ცხოვრების ეს მწუხარებით სავსე დრამა მუსიკალურ ფორმებში ასახა და შექმნა ნაწარმოები რომელიც იტაცებს მსმენელის ყურადღებას კოლიზიებით:

ოპერის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ქალბატონ ბატერფლეი (პეპელა)—იაპონელი გეიშა, რომელსაც ემყარება მთელი ოპერა.

ქ-ნი ბოკოვა თავისი ღრმა დრამატიული თამაშით, რომელიც რეალურია თავიდან ბოლომდე, პირდაპირ ატყვევებს აუდიტორიას. განსაკუთრებულ ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მეორე და მესამე სურათები—შეყვარებულის დაბრუნების ლოდინი, იმედი, სასოწარკვეთილება და თვითმკვლელობა. მხოლოდ სასურველია უფრო გარკვეული დიქცია. გრიმი, სცენიური გადმოცემა ბუნებრივია და სიცოცხლით სავსე. კარგია სარაჯიშვილი პინკერტონის (ოფიცრის) პარტიაში, ხოლო კრიჟანოვსკი ამერიკის ელჩის პარტიაში. ტიპიურია თავის პარტიაში კურბატოვი, ერმოლინსკაია ვერ იძლევა ქალბატონ ბატერფლეის მეგობრის ნამდვილ ტიპს.

მიუხედავად დამძიმებული და რთული ორკესტროვკისა, ბრონი იძლევა აკომპანიმენტში ნათელ მელოდიურ სურათს, დინამიურ ფერებს, მაგრამ საჭიროა უფრო შეკავებულ იქნეს ორკესტრის სიძლიერე, რათა მეტი რეალური და ვოკალური შესრულება გამოვიდეს.

ა. ბუზუთოვი.

—

— **პროლეტკულტში.** პროლეტკულტის დრამატიული ტექნიკუმი ამ ჟამად ამზადებს ტრეტიაკოვსკის პიესას: „გესმის, მოსკოვო!" და „ცხოვრების წყაროს".

— **საქართველოს მუზეუმი.** საქართველოს მუზეუმთან ზოოლოგიური განყოფილების მოწყობა დამთავრდება ამ დღეებში. სწარმოებს მუშაობა ცხოველების და ფრინველების კოლექციათა სისტემაში მოსაყვანათ. მხატვრულ-სადეკორაციო მუშაობას ასრულებს მხატვარი ვეფხვაძე აკადემიკოს დანსერის ხელმძღვანელობით. ზოოლოგიური განყოფილება გაიხსნება მაისის პირველს.

— **საბავშვო დილა.** დღეს, სახ. საბავშვო თეატრში გაიმართება საბავშვო დილა, წარმოდგენილი იქნება პიესა—ზღაპარი: „ნაძვთა ზეიმი". დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **ზოია ლოდის მეორე კონცერტი.** დღეს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება ზოია ლოდის სიმღერათა მეორე კონცერტი.

— **მილშტეინის და გოროვეცის სონატების საღამო.** სამშაბათს, 18 მარტს, კონსერვატორიაში გაიმართება მილშტეინის და გოროვეცის სონატების საღამო.

— **საღამო მუსულმანთა სკოლის სასარგებლოთ.** მუსულმან სკოლის საამშენებლო კომიტეტი ახლო ხანში ამავე სკოლის სასარგებლოთ გამართავს დიდ საღამო-კონცერტს.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** ხუთშაბათს, 20 მარტს საათის 7 ზე (ხელოვნების სასახლე № 13) დანიშნულია გამგეობის სხდომა.

— **მეცნიერული სურათი.** 17 მარტს კინო-მინიონში შესდგება სურათი „შეუღლების ჰიგიენა და სქესობრივი საკითხი"-ს სურათის საზოგადოებრივი განხილვა.

დღეს თეატრებში.

— ოპერა—„ლაკმე".

— დრამა—„მზის დაბნელება" ვერის რაიონის მუშათა კლუბის სასარგებლოთ.

— სახ. სახლი—ქართული წარმოდგენა.

— ცირკი—ახალი მრავალფეროვანი პროგრამა.

პარტიული და საზოგადოებრივი კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში მოწვეულია სადელეგატო კრება ქალთა ორგანიზატორებთან ერთად. ყველას დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ს ტ უ რ უ ა.
ქალთა განყოფილების გამგე მ ე ზ უ რ ნ ო ვ ი.

— ამა 16 მარტს, დღით 12 საათზე დანიშნულია საორგანიზაციო კრება საზოგადოება „ბავშვთა მეგობარი“: მოწვეულნი არიან ყველანი, ვისაც კი სურს დაეხმაროს უბინაო ბავშვს.

მისამართი: კოლუბანის ქ. № 3. სახლი „განათლების მუშაკთა“.

საინიციატივო ბიურო.

განცხადებები

დაუბიდურებული მშობლები ანეტა და სერგო გალოგრე, ძმა ლეონიდე (ბუხული), მატრონე, შალიკო და ნინო (შუტუნა) ცინცაძეები, ანნა მგელაძე, ანგელინა, გრიშა და ნაპო სიამაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

ვალერიან (ვალია) გალოგრეს

გარდაცვალებას ქ. ოზურგეთში. დაკრძალვა მოხდება ოზურგეთში სამშაბათს 18 მარტს. 1—1 681

პელაგია ჯიბრაილის ასული იაშვილი-მოდებაძე და პლატონ სპირიდონის ძე მოდებაძე შვილებით გუგუშა, რუსუდანა და კატო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღის, 16 მარტს 1 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება

მარიკო იაშვილის-მოდებაძე

ერთი წლის გარდაცვალებიდან პანაშვიდი. 1—1 685

ღრმათ დამწუხრებულნი მეგობრები და ამხანაგები ამით აუწყებენ ყველა ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გადახდილ იქნება პანაშვიდი უეცრად გარდაცვალებულ ლენინგრადში 10 იანვარს,

სიმონ დიმიტრის ძე მურმანიშვილისა

დიდუბის ეკლესიაში თორმეტ საათზე, 16 მარტს. 1—1 683

დედა ეკატერინე, ძმა, და, ბიძები შაქრო და გიორგი, დეიდა სონა, ბიძაშვილები შურა, ნინა, ანნა, იოსებ იმედაშვილი ოჯახობით, ამხანაგები გოგია და შალიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ

შალვა ბაზღაძის

ტრაგიკულად დაღუპვიდან ორმოცის შესრულების გამო დღის დიდუბის ტაძარში 11 ს. დანიშნულია მისი სულის მოხსენება. 1—1 960

ღრმათ დამწუხრებულნი ანნა ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ ილიას ძე შვილით ქეთევანი კარდანახიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაღუპულთ (7 თებერვ. მდინ. მტკვარში) მათი საყვარელი სიძის, სიძის ძმისა და სიძის სიძისა

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის ძე ლოლაძეებისა და ცოლაკასი

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე. № 689. 1—1.

ღრმათ დამწუხრებულნი ბარბარე ნიკოლოზის ასული შვილებით ვანო და ქეთოთი მირინაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაღუპულთ (7 თებერვალს მდინ. მტკვარში) მათი საყვარელი სიძის, სიძის ძმისა და სიძის სიძისა

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის ძე ლოლაძეებისა და ცოლაკასი

სულის მოსახსენებლათ წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე. № 689 1—1.

გულ დათუთქულნი პირისუფლები: მამა კონსტანტინე, დედა თებრონე, ძმა ვლადიმერი და დები თამარა და ნინო ინაშვილები, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ პირველთა შვილის და შეორეთა ძმის უბედური შემთხვევით (მტკვარში დაღუპულთა 7 თებერვალს ა. წ.) უდროოდ დაკარგულ,

სტუდენტი გიორგის (გოგი)

სულის მოსახსენებლად

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე პანაშვიდი 12 ს. 678 2—2

გაუბედურებული და ღრმად დამწუხრებულნი ბარბარე მიხეილის ასული, დიმიტრი ივანეს ძე, თამარა ნიკოლოზის ასული, გულნარა ირაკლის ასული ლოლაძენი და ნინა დიმიტრის ასული კაუკჩიანი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელი პირველთა შვილებისა, მეორეთა საყვარელ ქმრის. მამის, მაზლისა და ბიძისა და უკანასკნელის დაუვიწყარი ძმების და ქმრისა

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის-ძე ლოლაძეების და ცოლაკასი

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 ს. და პანაშვიდი დილის 12 ს. 679 2—2

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ზაქარიას ასული, გიორგი მიხეილის ძე და ანნა მალაქიას ასული მამაცაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულთ (7 თებერვალს მდ. მტკვარში) პირველის საყვარელ შვილიშვილების და სიძის, მეორისა დაუვიწყარი დისწულების და სიძის და უკანასკნელის ძვირფას მულისწულების და სიძის

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის ძე ლოლაძეების და ცოლაკასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 ს. და წირვა სულის მოსახსენებლად დილის 12 საათზე. 2—2 679

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ბარბარე მიხეილის ასული, არამა არუთინის ძე, ნინა დიმიტრის ასული, ზავენა და ცოლიკა არამას ძენი კაუკჩიანნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში პირველთა საყვარელ შვილის, მეორისა დაუვიწყარი მეუღლის და უკანასკნელთა ძვირფას ძმის (მტკვარში დაღუპულთ) 7 თებერვალს ა. წ.

ცოლაკა არამას ძე კაუკჩიანის

და საყვარელ ძმების

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის ძე ლოლაძეების

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 ს. და პანაშვიდისა დილის 12 ს. 2—2 679

3. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

კვირას, 16 მარტს

ლ ა კ მ ე

კრ. 950 5—5

ს. ს. რ. კ. სამხრეთ ნაწილის ლითონის ტრესტი

(გაერთიან. ქარ. იუზოვის, ბრიანსკის, მაკეევის, ტაგანროგის და ყოფ. გარტკე)

„ი უ გ ო ს ტ ა ლ“

გაიხსნა ამიერ-კავკასიის სააგენტო, აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო წარმოებებს თავის ქარხნების ნაწარმოებს

თუჯი ჩამოსხმული,
ბოლვანკები,
თუჯისაგან გაკეთებული სხვადასხვა საგნები
რკინის გზის რელსები,
ტრამვაის რელსები,
მაღაროების რელსები.
რკინა სხვადასხვა ხარისხის,
რკინა ფურცლოვანი,
რკინა სახურავის.
მავთული.
ლურსმანი ყველა ზომისა.
მილები—გაზის,
მილები—კვამლის,
მილები—და სხვა.

ინჟინერი პ. ზ. რუხინი

ტფილისი ლადო დუმბაძის ქუჩა (ყოფ. ველიამინოვის) 14, ამხანაგობა „ფება“

ნიხ. № 926—2—1

მუშებო და გლეხებო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანთსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„გრუზოდეჟდა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფაბრიკა:

მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სხვა-ტანთსაცმლების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—3

მასალების ფასების მნიშვნელოვნად დაწევის გამო მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის შემდეგ

„რეზინის ტრესტმა“

მარტის 8 რიცხვიდან დასწია ფასები

ავტორეზინზე—40 პროცენტით
საბარგო ავტომობილ.
შინებზე—10 პროცენტით
„ტეხნიკაზე“—10—15 პროცენტით

ფასები ერთნაირია „რეზინის ტრესტის“ ყველა განყოფილებებში.

„რეზინოტრესტის“ ტფ. განყოფილება

სავაჭრო-მწარმო. მაღაზია, სოლოლაკის ქუჩა № 4.

1—1 963

თანახმად № 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევ. კომიტეტის სამართველოს განყოფილების 1921 წ. 23 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ ერმილე ივანეს ძე კვერხაძემ შემოიტანა განცხადება მისი გვარის კვერხაძესა—გამოცვლის მიმინაძეზე შეცვლის შესახებ.

1—1 688 ზაგსის გამგე ი. ი. კორაევი.

ყველა: სასოფლო კოოპერატივებს, პროფკავშირებს, დაწესებულებებს

შეუძლიათ შეიძინონ: თეთრეული, ტანსაცმელი მუშებისათვის და სოფლათ გლეხთათვის „სპეც-ოდეჟდა“ და „პროზოდეჟდა“ ნისიათ ოთხ-ხუთ თვის ვადით განუსაზღვრელ რაოდენობით.

ახალი ფასდაკლება

ტფილისი, რუსთაველის პრ. № 10 რუსთაველის თეატრის წინ.

„სინდომვეიპრომი“

ნ. 952 6—2

სახალხო განათლების კომისარიატი

ა ც ხ ა დ ე ბ ს,

რომ ოთხშაბათს, 19 მარტს, დილის 11 საათზე განათლების კომისარიატის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5), განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 25) დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

კომისარიატის ქვემდებარე სამაზრო დაწესებულებებისათვის, ქ. ტფილისში, ყოველდღიურად 15—20 ფუთი ძროხის ხორცის მოწოდების იჯარის გაცემაზე ა. წ. 20 მარტიდან 1 მაისამდე.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ შეჯიბრების დღისათვის საწინდარი—30 ჩერვონეცი, ანუ ნასყიდობის ქაღალდი უძრავ ქონებაზე, დამოწმებული, ქალ. ტფილისის ნოტარიუსის მიერ.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება განმანაწილებელ განყოფილებაში ყოველ დღე შუადღის 12-დან 3 საათამდე.

673 2—2 განათლების კომისარიატი.

ქუთაისი

ფილიპოვის სავაჭრო

(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)

მიღებულია ელექტრონით გასანათებელი ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში

იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.

კრ. 920 15—8 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ქ. ტფილისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ა. ა. გვაზავა ამით აცხადებს, რომ 19 მარტს ამა 1924 წ. დღის 11 საათზე კოჯრის ქ. № 19 საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ნიკოლოზ დავითის ძე გულაბოვის უძრავი მამული, რომელიც შესდგება სახლებიდან ქალაქის მიწაზე ზომით 218,5 ოთხკ. საჟენი შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—ამაღლების ქ., აღმოსავლეთით—ტულაევის და სტუბნიცკის სახლები, დასავლეთით—ამაღლების ეკლესია და სამხრეთით—კოჯრის ქ. ამ მიწაზე აშენებულია ორი ორსართულიანი ქვიტკირის სახლი. ერთ სახლში არის რვა ოთახი და სამი სამზარეულო, მეორეში—ათი ოთახი და ექვსი სამზარეულო და ერთი დუქანი თონე. სახურავები ზოგი ქისტისაა და ზოგი კრამიტის. სახლებს არა აქვს არც წყალი და არც უსუფთაობისათვის მილები, ეს სახლები შეფასებულია 50 ჩერვონეცად. ეს მამული იყიდება ანა გვრიტიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 17 აგვისტოს 1923 წ. თარიღით № 872 და 11 ივნისის 1923 წ. თარიღით, № 601, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ტფილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან ცნობა იმის შესახებ, რომ არც მას, მყიდველს, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილებს არა აქვთ ტფილისში სახლები და უნდა მისცენ ხელწერილი მასში, რომ ეს პირები არა ფლობენ სახლებს რომელიმე სხვა ადგილას. საქმის გასინჯვა შეიძლება სასამართლო აღმასრულებლის გვაზავას კამერაში დილის 9—11 ს. სასამართლოს ქ. № 32.

სასამართლოს აღმასრულებელი ა. გვაზავა.

№ 682 1—1

ს ა ხ ლ ი

„ოსობნიაკი“ თავისუფალი ბინებით და ყოველგვარი მოწყობილობით, ვისაც სურს იყიდოს და ხელსაყრელ პირობებში გაქირაოს უნდა მიმართონ დავითის ქუჩ. № 3 ბინა 2 ...

1—1. № 686.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების მკურნალობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ულუმბიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—11

წინადადება ეძლევა მოქ. ვიქტორ ვარლამის ძე ხარიბაძეს, რათა მან გაასწოროს თავისი ანგარიშები ქალ. ქუთ. მინა ტყაბლაძის მაღაზიის, ან ტფილისის ბეჭდვით ექსპედიციაში ან აქვე ქუთაისში ერთი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადებისა. ამას გარდა გაუქმებულად ითვლება მისი პირადი მანდატი, რომელიც არის ჩემს მიერ მიცემული.

სახ. გამომც. „ზარია ვოსტოკა“-სი, ბეჭდვითი ექსპედიციის გაზ „მუშას“ კონტრაგენტი მ. ტყაბლაძე. 932—3—3

დაიკარგე მეტრიკული მოწმობა აპოლონ მარშანიას სახელზე № 193 გაცემული საქ. საკათალიკოსო საბჭოს მიერ 1921 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 687

დაიკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი მიხეილ დოლიძის სახელზე. ჩაით. გაუქმ. 1—1

დაიკარგე ზუგდიდის სამაზრო სამხედრო გამწვევ კომისიის მიერ მოცემული პირადი წიგნაკი № 485 სტ. გიორგი მაღლურას ძე ნადარაიას სახელზე. ჩაით. გაუქმ. 1—1 684.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს 20-ს, პარასკევს 21-ს, შაბათს 22 მარტს დილის 10 საათზე ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში (კორის ქ. რკინისგზის მახლობლად) მოხდება ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ ტვირთების და ბარგის, ნაპოვნ ნივთების და დავიწყებულ ნივთების აუქციონით გაყიდვა.

მეორე საჯარო ვაჭრობა იმ ტვირთებზე, რომელიც გაუყიდველი დარჩება, დანიშნული იქნება იქვე ა. წ. 24, 25 და 26 მარტს.

ქვემოთ ნაჩვენებია „ნაკლადნოების“ №№, რა სახის ტვირთია, რამდენი თავია და წონა; დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში, საჯარო ვაჭრობის დღეს კი იქვე ვაჭრობის დაწყებამდე.

1. მოუკითხავი ტვირთები: № 48212, ცარიელი ბოთლები 2 ყ.—8 ფ. 10 გ., № 49228 ლიტერატურა—1 თ.—2 ფ. 10 გ., № 197860—ლიტერატურა 1 თ.—25 გ., № 231510 ბილიარდის მაგიდები სხვადასხვა სახის, № 231509—ბილიარდის მაგიდები, № 81489—ბილიარდი სხვადასხვა სახის, № 196591 საოჯახო ნივთები და თამბაქო—2 თ.—2 ფ. 37 გ., № 96343—პორტლანდის ცემენტი 50 ბოჩკა—495 ფ., № 4214—საბავშვო საქონელი 1 ყ.—1 ფ. 20 გ., № 35962 ვალიცები—2 თ.—9 ფ. 40 გ., № 80911 ნიკელის მუხრუჭები 180 ც. 225 ფ. ხიდაზგები 6 თ.—6 ფ. 10 გ., რკინის ნაჭრები 13 თ.—12 ფ., რგვალი რკინეულობა—4 თ.—2 ფ. 20 გ., ცოცხები 2 თ.—6 ფ. 20 გირ. № 109928 გლინოზემი 1 ყ. 22 გ., № 25163—ახალუსი აპარატები 1 თ. 4 ც.—3 ფ. 36 გ. № 118055—ყავა 1 ყ.—2 ფ. 30 გ., № 118056—ყავა 2 ყ.—20 გ., № 25841 ცარიელი კალათები 6 ც. 1 ფ. 15 გ., № 10917 საოჯახო ნივთები, № 275 ხის კალაპოტები 2 თ.—4 ფ., № 19076 ხის ყუთები—1 ფ. 03 გ., № 127226 ხის ცარიელი ბოჩკები 18 ც.—32 ფ. 20 გ., № 6389 შამპანური 14 თ.—43 ფ. 30 გ., № 115906—წიგნები ერთი შეკვრა—4 ფ. 38 გ., № 49221 წიგნები—2 ფ. 29 გ., № 139787—ჟურნალები—1 ფ. 23 გ., № 74864 შუშის ბოთლები—15 ფ. 25 გ., № 41153 ქვავი 6 თ.—17 ფ. 35 გ., № 11052 ხამინდი 1 თ.—3 ფ., № 10006 ხის ცარიელი სკივრი 1 თ.—1 ფ. 5 გ., № 34293 ხის ცარიელი ყუთები—4 ფ. 20 გ., № 9658 ხის ფიცრები ყუთებისათვის—2 ფ. 20 გ., № 646941 ხის ყუთები 13 ც.—2 ფ. 08 გ., № 647019 ხის ყუთები—11 თ.—3 ფ., № 646765 ხის ცარიელი ყუთები 5 თ.—2 ფ. 30 გ., № 22720 ცარიელი ბოჩკები 7 ც.—11 ფ. 10 გ., № 46336 ცარიელი ბოჩკები 2 ც. 3 ფ. 8 გ., № 650659—ხის ფიცრები ყუთებისათვის—9 ფ., № 651514 ხის ფიცრები ყუთებისათვის—3 ფ., 10 გ., № 34116 ფიჭვის ფიცრები—3 ფ. 30 გ., № 336620 „სტუმპიონი“ რძე 22 ყ.—38 ფ. 19 გ., № 7138 71381 დაწნული კალათები 30 ც.—39 ფ. 34 გ., № 71380 დაწნული კალათები 30 ც.—38 ფ. 5 გ., № 71381 დაწნული კალათები, 30 ადგილი,—39 ფ. 34 გ., № 71380—დაწნული კალათები 30 ადგილი,—38 ფ. 5 გირ. № 71382 დაწნული კალათები—30 ადგ., 39 ფ. 31 გირ. № 71378 დაწნული კალათები 28 ადგ.,—36 ფ. 35 გირ. № 184567—ხორბლის ფქვილი 1 ადგ.—3 ფ. 30 გირ., 155173 საშინ. ნივთ. 1 კალათი—1 ფ. 33 გირ., № 106988—წიგნები დაბეჭდ. 1 შეკვრა—2 ფ. 27 გირ., 116910 დასტამბ. ლიტერატურა—1 ადგ. 4 ფ 4 გირ., № 174022—ცარიელი ბოჩკები ხის—2 ცალი—1 ფ. № 126755 ლიტერატურა—1 ადგ. 1 ფ. 16 გირ. № 265045—დაბეჭდ. წიგნები—2 ადგ. 2 ფ. № 14191—საშინ. ნივთები—1 სკივრი—69. 8 გირ., № 36188 რკინის „გივესკა“—1 ადგ. 3 ფ. 10 გირ., № 89638—წიგნები 1 ადგ. 1 ფ. 04 გირ. № 241143 ძვლის პროვოტი გიპსის—1 ადგ. 1 ფ. 35 გირ., № 5835—თივა—15 შეკვრა—333 ფ. 35 გ., № 245565 სილუდი 1 ყუთი—4 ფ. 33 გირ. № 112465—ბამბის ქსოვილი—4 ადგ. 10 ფ. 8 გირ., № 121528—შარილი 20 ყ.—83 ფ. 36 გ., № 176512—ლიტერ.—1 ად. 1 ფ. 33 გ.

2. მოუკითხავი ბარგი: № 7219 „კლიოვკა“ ცარიელი, 1 ადგ. 20 გირვ., № 93035—ყუთები ხის ცარიელი—1 ადგ. 10 გირ., № 32250—ცარიელი ხის ყუთები—37 ადგ. 10 ფ. 5 გირვ., № 32458 სახილე ყუთები—27 ადგ. 22 ფ. 30 გირ., № 171344, ბოჩკა ცარიელი ხის—1 ადგ. 1 ფ. 35 გირ., № 181237 ლიტერატურა—1 ადგ. 2 გირ., № 181062 1 ადგ.—4 გირ., № 181328 ლიტერატურა—1 ადგ. 3 გ., № 181141 ლიტერატურა—1 ადგ. 4 გირვ., № 161550 ლიტერატურა—1 ადგ. 5 გირ., № 167010 ლიტერატურა—1 ადგ. 5 გირ., № 177563 ლიტერატურა—1 ადგ. 6 გირ. № 178205 ლიტერატურა 1 ადგ.—4 გირვ., № 180319 ლიტერატ.—1 ადგ. 4 გირვ., № 176887 ლიტერატ.—1 ადგ. 3 გირვ., № 32422 ცარიელი ხის ყუთები—28 ადგ. 9 ფ., № 1987 თამბაქო სკივრში 1 ადგ. 1 ფ. 38 გირ. № 66243—თიხა უმრავლესი—1 ადგ. 4 ფ., № 181930 ლიტერატ.—1 ადგ. 3 გირ., № 132820 ლიტერ.—1 ადგ. 1 ფ. 30 გირ., № 181473 ივეუვი—1 ადგ. 3 გირვ., № 181585 ივეუვი—1 ადგ. 3 გირვ., № 180975 ივეუვი—1 ადგ. 4 გირ., № 180187 ივეუვი—1 ად. 4 გირვ., № 178320 ივეუვი—1 ად. 4 გირვ., № 180593 ივეუვი—1 ადგ. 5 გირ., № 180499 ივეუვი—1 ადგ. 4 გირ., № 180788 ივეუვი—1 ადგ. 5 გირ., № 180872 ივეუვი—1 ადგ. 5 გირ., № 178586 ივეუვი—1 ადგ. 4 გ., № 1010 სიმინდის ფქვილი—1 ადგ. 2 ფ., № 173145 ქართოფილი—2 ადგ. 11 ფ., № 129940 სკივრი ცალიერი—1 ადგ. 1 ფ., № 113421 წიგნები—1 ადგ. 30 გირ., № 136648 ბამბეულის საწოლი—1 ადგ. 1 ფ., № 10889 ფაცრები—1 ადგ. 20 გირ. № 17570 საოჯახო ნივთები—1 ადგ. 1 ფ. 30 გირ., № 70359 რკინის ბიდონი—1 ადგ. 17 გირ., № 31007 წიგნები—3 ადგ. 7 გირვ. 37 გირ., № 99935 ხაბაკი—2 ადგ. 2 ფ. 2 გირ., № 93421 საოჯახო ნივთები—1 ადგ. 7 გირ., № 94067 ჩემოდანი—1 ადგ. 36 გირ., № 95320 საოჯახო ნივთები—2 ადგ. 5 ფ. 29 გ., № 5888 თუნუქის ბიდონი—1 ადგ. 30 გ., № 109773 რკინის საწოლი—1 ადგ. 1 ფ., № 2477 საოჯახო ნივთი—1 ადგ. 1 ფ., 29 გირ., № 181422 ლიტერატურა—1 ადგ. 3 გირ., № 181681 ლიტერატ.—1 ადგ. 4 გირვ. № 181532 ლიტერატურა—1 ადგ. 3 გირ., № 181745 ლიტერატ.—1 ადგ. 3 გირ. № 167114 ლიტერატ.—1 ადგ. 6 გირ., № 177381 ლიტერ.—1 ადგ. 4 გირ., № 177457 ლიტერატ.—1 ადგ. 5 გირვ. № 181820 ლიტერატურა—1 ადგ. 3 გ.

3. უცნობი ტვირთები: № 666 სოდა—18 ბოჩკა 662 ფ., № 735 მარილი—4 ადგ. 15 ფ. 22 გირ., ქვრი—1 ადგ. 2 ფ. 23 გირ., ნახშირი—1 ადგ. 1 ფ. 12 გირ., № 685 ლობიო 2 ადგ. 4 ფ., 33 გ., № 38 ცაცხვი—6 ყუთი 6 ფ. 33 გ., № 8 მარილი—4 ადგ. 12 ფ. 20 გირ., № 10 სიმინდი—2 ადგ. 6 ფ. 10 გირ., № 693 მარილი ტბის—4 ადგ. 11 ფ. 30 გირ., № 114 ზღვის მარილი—7 ადგ. 19 ფ., № 4971 ფქვილი—1 ადგ. 5 გირვ., № 424 მარილი ტბის—34 ადგ. 106 ფ., № 92 ფქვილი 1 ადგ. 3 ფ. № 105 თამბაქო და სპილენძის ყუთი—1 ადგ. 1 ფ. 3 გირვ., № 97—ლობიო 4 ადგ., 18 ფ. 39 გირვ., № 35 ადგილობრივი მურლულა 1 ადგ. 1 ფ. № 13 ნალი ძველი 3 ადგ. 2 ფ. 30 გირვ., თუნუქის ბიდონები 25 ცალი—2 ფ. 16 გირვ. რკინის მილები—3 ცალი—8 ფ. 15 გირ. № 474—ყაჭი—1 ადგ. 3 ფ. 15 გირ., № 57—ნავთი—4 ადგ. 5 ფ. 20 გ. № 58 ნავთი 2 ადგ. 1 ფ. 12 გ., № 4441 ხის ფიცრები—21 ცალი 21 ფ., ყ. ხის ცალიერი—2 ადგ., 3 ფ.

4. უცნობი ბარგი. № 468 ჩემოდანი 1 ადგ., 2 გირვ., № 540 ჩაი ფუნთუშა—2 ადგ. 1 ფ., 19 გირ., თამბაქო—1 ადგ. 10 გ., № 749 ხაბაკი—1 ადგ. 1 ფ. 37 გირ., № 706 სიმინდი 1 ადგ. 1 ფ. 6 გირვ., № 708 ხორბალი—1 ადგ.—1 ფ. 20 გ. № 707 სხვადასხვა—1 ადგ. 1 ფ. 16 გირ., № 81 ლობიო—3 ადგ. 3 ფ. 25 გირ., № 12 საოჯახო ნივთები—2 ადგ. 15 გირ., № 739 სხვადასხვა 3 ადგ.—16 გირ. № 738—ქალების ქუდები—3 ცალი., № 64 ქოლგა შავი აბრეშ. 1 ადგ. და სპილენძის ბიდონი—1 ადგ. 16 გირ., № 709 შალი ქსოვილი 1 ცალი 36 არ. ფურ., № 680—ქალის ხალათი 1 ცალი, № 28—1 ადგ. 1 ფ. 33 გირვ., № 27—ქიშმიში 2 ყუთი—2 ფ., № 16 ბამბა—1 ადგ. 1 ფ., № 520 ლიტერატურა—1 ადგ. 3 გ., № 9 ბოჩკა ცალ. 1 ადგ. 14 გირ., № 7 ბოჩკა ცალიერი—1 ადგ. 1 ფ. 2 გირ., № 64 ლეიბი 1 ადგ. 1 ფ. 23 გირ.

ნიხ.—958—1—1.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის

— საპაიო —

ამხანაგობა

განსაზღვრული პასუხისმგებლობით

(ძირითადი თ ა ნ ხ ა 1.000.000 მანეთი)

გამგეობა: ტფილისი თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა, ზემო სართული.

დამფუძნებელნი: 1. საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატი, 2. სახალხო ბანკი, 3. ს. ს. მ. უ. ს. საბჭო ა) ც. ს. ს. ბ) თამბაქოს ტრესტი, გ) ღვინის ტრესტი.

აწარმოებს დამზადებას: მატყლისა, აბრეშუმისა, ჯაგრისა, ბამბისა, თუთუნისა, ღვინისა, ჩაისა და ყოველგვარ ნედლ მასალისა.

ღებულობს: საკომისიო გასანაღდებლად ყოველგვარ საქონელს ს. ს. რ. კ. და აქაც. აქვს საკუთარი საბითუმო და საწვრილმანო მაღაზიები:

ქ. ტფილისში:
1. სამანუფაქტურო მაღაზია (კომინტერნ. ქ. ყოფ. სასახლის ქ. № 8).
2. საგალანტერეო, ფეხსაცმ. (კომინტერნ. ქ. ყოფ. სასახლის ქუჩა, ლეიბის და ტანსაცმლის მაღაზია № 8).
3. რკინეულობის მაღაზია (სომხის ბაზარი № 62).
4. რკინეულობის მაღაზია (თავის მოედანი № 8).
5. უნივერსალური (ვაზნის და ელისაბედ. ქუჩების კუთხე)
6. თევზეულობის (პუშკინის ქუჩა № 4)
7. ცენტრალური საწყობი (ელისაბედის ქუჩა № 133).

წარმომადგენლობა და საწყობები: მოსკოვში, როსტოვში, ბაქოში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში.

ვაჭრობა სწარმოებს ბითუმათ და წვრილათ

ვაჭრობა სწარმოებს ბითუმათ და წვრილათ

ვაჭრობა სწარმოებს ბითუმათ და წვრილათ

961—2—1